პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

კომუნისტი— ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 44-ე წელი
№ 229 (12741)
სამშაბათი, 1 ოქტომბერი, 1963 წ.
ფასი 2 კაპ.

შრომითი საჩუქრები

ოქტომბრის ანგარიშში

ტყიბული. (საკ. კორ.). ტყიბულქვანახშირის ტრესტის კოლექტივი წარმატებით ასრულებს საქართველოს კომპარტიის XXII ყრილობის აღსანიშნავად ნაკისრ ვალდებულებებს. მეშახტეებმა 20 სექტემბრისათვის შეასრულეს „შავი ოქროს“ მოპოვების 9 თვის სახელმწიფო გეგმა.

12 სექტემბრიდან მომავალი თვის ანგარიშში იღებს ქვანახშირს ორჯონიკიძის სახელობის შახტი.

ზარალიდან რენტაბელობისაკენ

თბილისის სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატის (დირექტორი გ. შარიქაძე) კოლექტივი პირველი გამოეხმაურა ჟურნალ „კომბინატის ქარხნის თაოსნობას — უარი თქვან სახელმწიფო დოტაციაზე და 1963 წელს მიიღონ რენტაბელური მუშაობის „სიმწიფის ატესტატი“. საქართველოს კომპარტიის XXII ყრილობის აღსანიშნავად ფეიქრებმა შეჯიბრება კიდევ უფრო ფართოდ გაშალეს და სატყუა საქმედ აქციეს. 14 სექტემბრისათვის გადაჭარბებით გაანაღდეს ცხრა თვის დავალება, შრომის სწორი ორგანიზაციისა და მანქანა-დანადგარების რაციონალურად გამოყენების შედეგად შრომის ნაყოფიერება გეგმასთან შედარებით 3,2 პროცენტით ამაღლეს, ხოლო ერთ მანეთ სასაქონლო პროდუქციაზე ნაცვლად 96,4 კაპიკისა დახარჯეს 93,5 კაპიკი.

წარმოებაში მტკიცე კონტროლი დაწესეს მასალებისა და ნედლეულის ხარჯვაზე. შედეგი საუკეთესოა. **ბანვლილ პერიოდში დაზოგილია ბამბა 39 ტონა, ელექტროენერგია — 712 ათასი კილოვატ-საათი, პიროგითი საქონელი — 245 ტონა, წარმოებაში დაუჯამეს შედეგები და გამოირკვა, რომ წარმოება მჭიდროდ დაადგა რენტაბელობის გზას, მილებულია ზეგეგმითი ეკონომია და რესპუბლიკის ეკონომიის ფონდში შეტანილია 317 ათასი მანეთი.**

წლის ბოლომდე სამი თვე დარჩა. მუშაობის შედეგები ნათლად მოწმობს, რომ ფეიქრები თავიანთ დაპირებას გაანაღდებენ და დამსახურებულად მოიპოვებენ რენტაბელური მუშაობის „სიმწიფის ატესტატს“.

ზვრების გარაჟა

ზესტაფონი. (საკ. კორ.). აქაურმა მეენახეებმა დაიწყეს საადრეო ჯიშების ყურძნის შერჩევითი კრეფა. მიმდინარე წლის არახელსაყრელმა ამინდებმა უსათუოდ იმოქმედა ვენახებზე, მაგრამ შედარებით კარგი მოსავალი მიიღეს სოფლების ფუთის, კვალითის, იღლის, ცხრაწყაროს, საქარის კოლმეურნეობებმა, არგვეთის საბჭოთა მეურნეობამ. მათ ზვრებში მოკრიფეს და ღვინის ქარხნებმა გადაამუშავეს 40 ტონაზე მეტი ყურძენი.

ზრდილი მილიონი მოსკოველი მეცნიერებას იწყებს

ორ მილიონზე მეტი მოსკოველი იწყებს მეცადინეობას პოლიტიკური განათლების სისტემაში, — აცნობეს საკდუსის კორესპონდენტს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მოსკოვის საქალაქო კომიტეტში. — დედაქალაქის პარტიულმა ორგანიზაციებმა, რომლებიც პარტიის ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის მითითებებს ასრულებდნენ, ამასთან დაკავშირებით დიდი მოსამზადებელი მუშაობა განახორციელეს. პოლიტიკური განათლების ფორმები შემუშავებულია კომუნისტებისა და უპარტიოების ინტერესებისა და სურვილების, მათი პოლიტიკური და ზოგადი განათლების გათვალისწინებით.

დიდი ყურადღება ეთმობა კადრების ეკონომიურ განათლებას, 700-ზე მეტმა მოსკოველმა, შარშანდელზე ასი ათასით მეტმა, გამოთქვა სურვილი შეისწავლოს სხვადასხვა ეკონომიური პრობლემა.

კომუნიზმის მშენებელთა მორალური კოდექსის პრობლემებს წელს ასი ათასზე მეტი კაცი შეისწავლის სემინარებზე. შექმნილია აგრეთვე 700-ზე მეტი სემინარი და წრე. (საკდესი).

დანაგოგი — ეკონომიის ფონდში

წლის ბოლომდე გეგმის გადამეტებით გამოვუშვათ 1,5 მილიონი ცალი აგური, ვიმუშაოთ რენტაბელურად — ამ დევიზით გაიარა დიდი ოქტომბრის დღესასწაულისა და საქართველოს კომპარტიის XXII ყრილობის აღსანიშნავი სოციალისტური შეჯიბრება თბილისის მშრალი წესჩვეის აგურის ქარხნის (დირექტორი ი. ინგოროყვა) კოლექტივმა. მეაგურეები დაპირებას წარმატებით ახორციელებენ. ცხრა თვის გეგმა 107 პროცენტით გაანაღდეს და გეგმის გადამტებით მშენებლებმა მიიღეს რამდენიმე ათეული ათასი ცალი აგური, 25 ათასი კვადრატული მეტრი სახურავი, 550 გრძივი მეტრი მოზაიკის კიბის საფეხურები და დიდძალი მხატვრული კერამიკული ნაწარმი.

მოწყობილობის უნარიანად გამოყენებისა და შრომის უკეთ მოწყობის შედეგად განვლილ პერიოდში შრომის ნაყოფიერება ამაღლდა 7 პროცენტით, მნიშვნელოვნად შემცირდა 1.000 ცალი აგურის გამოშვების ხარჯები და ამაღლდა პროდუქციის ხარისხი. ამის შედეგად წარმოებამ მიიღო ზეგეგმითი მოგება და რესპუბლიკის ეკონომიის ფონდში 9 ათასი მანეთი შეიტანა.

ამ წარმატებაში დიდია თვითეული კოლექტივის წევრის წვლილი, მაგრამ აგურის ჩამწყობ და აგურის გამოწვის კომუნისტური შრომის ბრიგადებს, რომლებსაც ე. შუბითიძე და ა. მხეიძე ხელმძღვანელობენ, ვერავინ შეედრება. შრომის ნამდვილი შუქურები არიან აგრეთვე აგურის დამყალიბებელი ა. მეგრელიშვილი და მეექსკავატორე მ. კუდრიავცევი.

ᲐᲛᲝᲬᲜᲘᲜᲐᲕᲔ ᲙᲝᲚᲔᲥᲢᲘᲕᲘ

ნაყოფიერად იმუშავა მიმდინარე სეზონში ჩაქვის ჩაის ფაბრიკამ (დირექტორი მ. ბასილაძე). ფაბრიკის შრომისმოყვარე კოლექტივმა სასახელოდ შეასრულა ჩაის ფოთლის მიღებისა და გადამუშავების წლიური გეგმა. ნაცვლად 2.223 ტონისა მიღებული და გადამუშავებული 2.600 ტონა ჩაის ნედლეული. 78 ტონაზე მეტი მზა პროდუქცია გაიგზავნა პოლონეთში.

ჩაება რა საქართველოს კომპარტიის XXII ყრილობის აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში, ფაბრიკის კოლექტივმა აკისრა კიდევ 200 ტონა ნედლეულის გამოშვება.



კომუნიზმის ჩირაღდანი

დღეს პირველი ოქტომბერია. პოლიტიკური განათლების სისტემაში იწყება ახალი სასწავლო წელი. კომუნისტების, კომკავშირლების უპარტიო მასების იდეური ცხოვრებაში იწყება ახალი ჰორიზონტები.

და ეს ჰორიზონტები უფრო ბილუდი, უფრო მიმზიდველი გახდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის შემდეგ. ჩვენს დროში მშრომელთა კომუნისტური აღზრდა აყვანილია პარტიის ცენტრალური ამოცანის დონეზე. იდეოლოგიური მუშაობა კომუნიზმის გაშლილი მშენებლობის მთელი პროგრამის წარმატებით განხორციელებისათვის ბრძოლის ერთერთი უყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორი, საბჭოთა ადამიანებში კომუნისტური მსოფლმხედველობის, კომუნისტური ზნეობის ჩამოყალიბების მძლავრი საშუალება ხდება.

პოლიტიკური განათლების სისტემაში ახალი სასწავლო წლისათვის მზადებას რესპუბლიკის პარტიულ ორგანიზაციებში საფუძვლად ედო სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის დადგენილების სახელმძღვანელო მითითება იმის შესახებ, რომ „პოლიტიკური სწავლა უნდა აიგოს კომუნისტებისა და უპარტიოების მომზადების დონის, მათი საქმიანობის ხასიათის, ინტერესების, ნებაყოფლობითობის პრინციპის გათვალისწინებით სწავლების ფორმების არჩევაში“. ამ მხრივ დიდი ღონისძიებები განახორციელეს თბილისის, ქუთაისის, რუსთავის, ბათუმის, სოხუმის საქალაქო, ტყიბულის სამრეწველო და ლანჩხუთის სასოფლო პარტიულმა კომიტეტებმა.

ახალი სასწავლო წლის წინ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებით რესპუბლიკის ქალაქებში ორ ნაკადად მოეწყო პროპაგანდისტთა გადასამზადებელი კურსები ყველა ტიპის წრეებისათვის.

სამზადისი, საითკენაც ახალი სასწავლო წლის დაწყების წინ მიმართული იყო პარტიული ორგანიზაციების მთელი საქმიანობა, უკვე დამთავრდა. დღეიდან მთავარი, რასაც ძირითადი ყურადღება უნდა მიექცეს და საითკენაც უნდა წარიმართოს პარტიული ორგანიზაციების საქმიანობა, — ეს არის მუშაობის შინაარსის, პოლიტიკური სწავლების იდეურ-თეორიული დონის, ეფექტურობის ამაღლება. უწინარეს ყოვლისა აქედან მიგვითითებს სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის დადგენილება.

საჭიროა აქედანვე პოლიტიკური განათლების ყველა რგოლში პრაქტიკულად უზრუნველვყოთ დრმად შესწავლა მარქსიზმ-ლენინიზმისა, სკკპ პროგრამაში, პარტიის XX, XXI, XXII ყრილობების, ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის და ივნისის პლენუმების გადაწყვეტილებებში წამოყენებული თეორიული და პრაქტიკული პრობლემებისა.

მთავარი, რასაც ყურადღება უნდა მიაქციოს პარტიულმა ორგანიზაციამ, პროპაგანდისტმა და პოლიტიკური განათლების სისტემაში ჩაბმულმა ამხანაგმა, ის არის, რომ სწავლება დავუკავშიროთ ცხოვრებას, კომუნიზმის მშენებლობის ყოველდღიურ პრაქტიკას.

პოლიტიკური განათლების დაკავშირება ცხოვრებასთან, პრაქტიკასთან, მასების ისტორიულ შემოქმედებასთან ნიშნავს იმას, რომ მარქსიზმ-ლენინიზმის უმნიშვნელოვანეს დებულებებს, კომუნისტური პარტიის და საბჭოთა მთავრობის საშინაო და საგარეო პოლიტიკის ძირეულ საკითხებს. ძირითად პარტიულ გადაწყვეტილებებს განვიხილავდეთ არა როგორც ლიტერატურულ დოკუმენტებს, არამედ როგორც შუქურებს, რომლებიც გზას უნათებენ მილიონებს, როგორც საბრძოლო მოწოდებებს, რომლებიც გონებასა და გულს აღანთებენ.

ვ. ი. ლენინი ამბობდა რომ „პოლიტიკური განათლების შედეგები შეიძლება მხოლოდ მეურნეობის გაუმჯობესებით გაიზომოს“. ეს კი სწორედ იმას ნიშნავს, რომ ცხოვრებასთან, მილიონობით ადამიანთა პრაქტიკასთან პროპაგანდის რეალურ კავშირს რომ მივაღწიოთ, საჭიროა თეორიული დებულებანი და წარმოდგენანი კომუნიზმზე, კომუნისტური იდეალები გადავიყვანოთ სავსებით კონკრეტული, მატერიალურად ხელშესახები და თვითეული ადამიანისათვის გასაგები, ყოველდღიური საქმეების ენაზე.

პოლიტიკური განათლება უნდა დაეხმაროს მუშებს, კოლმეურნეებს, ყველა მშრომელს, რომ მიაღწიოს თავის კონკრეტულ უბანზე უკეთეს საწარმოო შედეგებს.

მტკიცედ უნდა გვახსოვდეს, რომ ჩვენს დროს ბრძოლა კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნისათვის — ეს არის ბრძოლა კომუნისტური იდეოლოგიის დამკვიდრებისათვისაც. შრომის ნაყოფიერების გადიდებისათვის ბრძოლა ამავე დროს კომუნისტური ზნეობის, ადამიანთა შორის ახალი ურთიერთდამოკიდებულების დამკვიდრების აქტიური პროცესიც არის. საბჭოთა ადამიანების მაღალი კულტურისათვის ბრძოლა ჩვენს საერთო ცხოვრებაში ახალი ეთიკური კატეგორიების და ჩვეულების ნორმების დანერგვაც არის.

ახალ სასწავლო წელს, ისე როგორც წინა წლებში პირველადაა პარტიულმა ორგანიზაციებმა მზრუნველობა არ უნდა მოაკლონ პროპაგანდისტებს და ყოველმხრივ შეუქმნან მათ ნაყოფიერი მუშაობის პირობები. არ შეიძლება განმეორდეს გასული წლის შეცდომები, როცა ზოგან პროპაგანდისტები გადატვირთული იყვნენ სხვა საზოგადოებრივი დავალებებითაც. ასეთი მანკიერი პრაქტიკა ზიანს აყენებს პოლიტიკური განათლების საქმეს.

პოლიტიკური განათლების სისტემაში ახალი სასწავლო წლისათვის მზადებაში პარტიულ ორგანიზაციებთან ერთად დიდი როლი შეასრულეს პოლიტიკური განათლების სახლებმა და კაბინეტებმა. მომავალში კიდევ უფრო უნდა გაიზარდოს პოლიტიკური განათლების ამ კერების როლი პროპაგანდისტებისათვის თეორიული და მეთოდური დახმარების გაწევაში, მათი გამოცდილების განზოგადოებასა და გავრცელებაში. ახალი სასწავლო წლის ნაყოფიერად წარმართვა ბევრად იქნება დამოკიდებული მათს მოქნილ და ოპერატიულ მუშაობაზე.

პარტიული კომიტეტების, პირველადი პარტიული ორგანიზაციების ვალია გულდასმით შეისწავლონ პოლიტიკური განათლების სისტემაში ახალი სასწავლო წლის პირველი დღის შედეგები, მხარი დაუჭირონ კარგ ინიციატივას, ახალს და პირიქით, შემჩნეული ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად დროულად მიიღონ ზომები.

ორგანიზებულად, მაღალ იდეურ დონეზე წარვმართოთ ახალ სასწავლო წელს პოლიტიკური განათლების მთელი სისტემის მუშაობა!

ᲣᲫᲕᲔᲚᲔᲡᲘ ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲓᲦᲔᲡᲐᲡᲬᲐᲣᲚᲘ

სმოლენსკი. (საკდესის კორ.). სმოლენსკი ზეიმობს თავის 1.100 წლისთავს. ეს დღესასწაული დაემთხვა მეორე ღირსშესანიშნავ თარიღს — გერმანელ ფაშისტთა დამპყრობლებისაგან ქალაქის განთავისუფლების 20 წლისთავს.

უძველესი ქალაქი, რომელმაც ბევრი საბელოვანი ფურცელი ჩაწერა სამშობლოს ისტორიაში, თავის იუბილეს გაალგაზრდავებული — მწვანე პარკებითა და ბულვარებით, მოკაზმული მოედნებით, ახალშენთა დიდი რაიონებით, ახალი საწარმოებით ხვდება.

ყველგან ტრანსპარანტები, ლოზუნგებია. ერთ-ერთ უძველეს შენობაზე გამოფხიზლია ცნობილ თანამოქალაქეთა პორტრეტები, რომლებმაც სახელი გაუთქვეს სამშობლოს თავგანით საქმეებით: კომპოზიტორი მ. გლინკა, მოგზაური ნ. პრჟევალსკი, ფლოტის მეთაური პ. ნახიმოვი, ნორჩი პარტიზანი ვ. კურილენკო და სხვები.

დღესით სოლენსკის დრამატულ თეატრში გაიმართა სმოლენსკის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს საიუბილეო სესია. ხალხის რჩეულებთან ერთად აქ მოვიდნენ საწარმოთა, მშენებლობათა მოწინავე ადამიანები, მეომრები და პარტიზანები, რომლებიც 1941-1943 წლებში გმირულად ებრძოდნენ გერმანელ ფაშისტთა ურდოებს სმოლენსკისათვის, ძველი ბოლშევიკები, მრავალი სტუმარი.

მოხსენება გააკეთა საქალაქო აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარემ ლ. ბოგაროვამ. სესიის ტრიბუნიდან სმოლენსკელებს მიესალმნენ მოსკოვის, ლენინგრადის, კიევისა და სხვა ქალაქების წარმომადგენლებმა. ქალაქ ვიტებსკის დელეგაციამ სმოლენსკს უძღვნა საიუბილეო ხალიჩა, კალუგის დელეგაციამ — ვარსკვლავთმეს ლოკომანის კ. ცილკოვსკის ბიუსტი, ბაროსლავლის დელეგაციამ — ფაიფურის ვაზა კოსმოსის გმირების იური გაგარინისა და ვალენტინა ტერეშკოვას პორტრეტებით.

საქალაქო საბჭომ გადაწყვიტა დაავას სამახსოვრო დაფა. ამ დაფაზე აღნიშნავენ იმათ სახელებს, ვინც აშენებდა და აღამაზებდა ქალაქს, იცავდა მას მტრებისაგან. სახელი გაუთქვამთ შრომით, რევოლუციური და საბრძოლო გმირობით. ამ სამახსოვრო დაფას დადგამენ ციხე-სიმაგრის ძველ კედელთან.

პრეზიდიუმში შემოაქვთ შრომითი გმირობის ესტაფეტა — წიგნი, რომელშიც შეტანილია მოწინავე ქარხნებისა და ფაბრიკების პატაკები.

მილოცვა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის 14 წლისთავის გამო

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ 30 სექტემბერს ჩინეთის კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის თავმჯდომარეს, სრულიად ჩინეთის სახალხო წარმომადგენელთა კრების მუდმივ კომიტეტსა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს მიღოცვის დეპეშა გაუგზავნეს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის შექმნის 14 წლისთავთან დაკავშირებით.

დეპეშაში, კერძოდ, აღნიშნულია, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი, საბჭოთა მთავრობა, მთელი საბჭოთა ხალხი მზად არიან განამტკიცონ საბჭოთა კავშირ-ჩინეთის მეგობრობა, სსრ კავშირისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის, ყველა სოციალისტური ქვეყნის ერთობა და შეკავშირება მარქს-ენგელს-ლენინის დიადი მოძღვრების ურყევ საფუძველზე საერთო საქმის გამარჯვებისათვის — დედამიწაზე სოციალიზმისა და კომუნიზმისათვის გამარჯვებისათვის.

დეპეშაში წარმატებებსა და მიღწევებს უსურვებენ სოციალისტურ მშენებლობას ჩინეთში.

სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ა. ა. გრომიკომ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის შექმნის 14 წლისთავის გამო მიღოცვის დეპეშა გაუგზავნა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს პრემიერის მოადგილეს და საგარეო საქმეთა მინისტრს ჩენ ის. (საკდესი).

მაღლობა მილოცვისათვის

რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის ხელმძღვანელებმა გეორგე გეორგიუ დეჟმა და იონ გეორგე მაურერმა ნ. ს. ხრუშჩოვსა და ლ. ი. ბრეჟნევს გამოუგზავნეს დეპეშა, რომელშიც მადლობას იხდიან გულითადი მილოცვებისა და ძმური სურვილებისათვის ფაშისტური უღლისაგან განთავისუფლების 19 წლისთავის გამო.

დეპეშაში გამოთქმულია რწმენა, რომ მტკიცე მეგობრობა და ძმური თანამშრომლობა რუმინეთის სახალხო რესპუბლიკასა და სსრ კავშირს შორის, რუმინეთის მუშათა პარტიასა და საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას შორის განუხრელად განვითარდება ორივე ხალხის, სოციალისტური ქვეყნების ერთობისა და შეკავშირების, სოციალიზმისა და მშვიდობის საქმის საკეთილდღეოდ. (საკდესი).

საბჭოთა პროფკავშირები მოითხოვენ ანტუან გიზენგას განთავისუფლებას

კონგოში რეაქციის ახალ თარეშთან დაკავშირებით საბჭოთა კავშირის პროფკავშირთა ცენტრალურმა საბჭომ 28 სექტემბერს გაავრცა განცხადება.

გამოხატავს რა საბჭოთა მშრომელების აღშფოთებასა და გულისწყრომას უკანონობისა და თვითნებობის გამო, რასაც ჩადიან კონგოს გამოჩენილი პოლიტიკური მოღვაწეებისა და მშრომელი ხალხის ბეჯნიერებისათვის მებრძოლთა წინააღმდეგ, ნათქვამია განცხადებაში, საბჭოთა პროფკავშირები მთელი მსოფლიოს პროგრესულ საზოგადოებრიობასთან ერთად მოითხოვენ დაუყოვნებლივ გათავისუფლონ ანტუან გიზენგა, შეწყვიტონ რეპრესიები, პატივი სცენ კონგოელი ხალხის დემოკრატიულ უფლებებსა და თავისუფლებებს. (საკდესი).

„ლიტვა“ ჩავიდა ალექსანდრიაში

კაიროში, 30 სექტემბერი. (საკდესი). დღეს დილით ალექსანდრიაში ჩავიდა საბჭოთა თბომავალი „ლიტვა“, რომელშიც არიან ჟურნალისტთა III საერთაშორისო შეხვედრის მონაწილეები.

არქიტექტორთა საერთაშორისო ფორუმი

ჰავანა, 30 სექტემბერი. (საკდესი). კუბის დედაქალაქში გუშინ საზეიმო ვითარებაში გაიხსნა არქიტექტორთა VII საერთაშორისო კონგრესი. ჰავანის სპორტის სახახლის ვეებერთელა დარბაზში შეიკრიბნენ კონგრესის დელეგატები და სტუმრები, დიპლომატიური კორპუსის წევრები.

კუბის მთავრობასა და ხალხის სახელით კონგრესის მონაწილეებს მხურვალედ მიესალმა კუბის რესპუბლიკის პრეზიდენტი ოსვალდო დორტიკოსი. რადღება მიაქცია იმას, რომ სერიოზული ნაკლოვანებებია სამუშაო ტანსაცმლით და ფეხსაცმლით, წარმოების მუშაკთა ინდივიდუალური დაცვისთვის საჭირო მოწყობილობით გაჯერობის ორგანიზაციაში. სხდომამ ცნობად მიიღო დაწესებულებათა ხელმძღვანელების განცხადებანი, რომ ისინი ახორციელებენ ღონისძიებებს აღნიშნულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

დასახულია საუბრებით უზრუნველყონ სავაჭრო ორგანიზაციების შეკვეთები სამუშაო ფეხსაცმელზე. მნიშვნელოვნად ფართოვდება ასეთი ნაწარმის გაყიდვა სოფლად.

საკავშირო პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა წინადადება მისცა პროფკავშირთა საბჭოებს განიხილონ სამუშაო ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის წარმოებისა და სათანადო საკავშირ ქსელის განვითარების გეგმები. დაავალეს მუდმივი კონტროლი ამ გეგმების შესრულებისათვის.

წიგნი ვ. ი. ლენინის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე

პოლიტიკური ლიტერატურის გამომცემლობამ დაამთავრა ვ. ი. ლენინის ბიოგრაფიის მეორე გამოცემის 30-ათასიანი ტირაჟის ბეჭდვა.

ამ წიგნში ფართოდ და მრავალმხრივ ასახულია ჩვენი ეპოქის უდიდესი ადამიანის, გენიალური მოაზროვნისა და რევოლუციის ბელადის, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს დამაარსებლის, მთელი მსოფლიოს მშრომელთა მასწავლებლის ცხოვრება და გზა.

ბიოგრაფიაში დახატულია ილიჩის სახე მისი შესანიშნავი სულიერი, ინტელექტუალური და ზნეობრივ თვისებების მთელი არაჩვეულებრივი სიმდიდრით. ვლადიმერ ილიას-ძის ცხოვრების ფაქტები და მოვლენები, რომლებსაც საფუძვლად უდევს მისი თანამებრძოველების, თანამებრძოლების, მახლობლების, მეგობრების მოგონებანი, საშუალებას აძლევს მკითხველს უფრო ნათლად წარმოიდგინოს ცოცხალი ლენინი — ბელადი, ამხანაგი, ადამიანი.

ბიოგრაფიულ მონაცემთა დაწვრილებითი ასახვა შეხამებულია წიგნში ლენინის უმნიშვნელოვანესი ხელმძღვანელი იდეების, მისი მეცნიერული და პოლიტიკური პრინციპების საფუძვლიან გაშუქებასთან. ვ. ი. ლენინის ძვირფასი იდეურ-თეორიული მემკვიდრეობა ნაჩვენებია მის თხზულებათა ღრმა ანალიზის გზით.

მეორე გამოცემის მომზადებისას წიგნში შეტანილია დამატებანი, გათვალისწინებულია მრავალი მკითხველის შენიშვნები.

ბიოგრაფია მდიდრულად ილუსტრირებულია ფოტოსურათებით, ლენინის დოკუმენტების, საბჭოთა მხატვრების სურათებისა და ნახატების რეპროდუქციებით.

ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის ბიოგრაფიის ახალი გამოცემა მომზადა სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებულმა მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტმა.

წიგნი დაწერა ავტორთა კოლექტივმა აკადემიკოს პ. ნ. პოსპელოვის ხელმძღვანელობით. (საკდესი).

საკავშირო პროფსაბჭოს პრეზიდიუმი

რუსეთის სფსრ ვაჭრობის სამინისტროსა და რუსეთის სამომხმარებლო კოოპერატივთა კავშირის წარმომადგენლებმა არა ერთი კრიტიკული შენიშვნა მოისმინეს თავიანთი მუშაობის შესახებ საკავშირო პროფსაბჭოს პრეზიდიუმის სხდომაზე. იხილავდნენ საკითხს თუ როგორ მიმდინარეობს სამუშაო ტანსაცმლითა და ფეხსაცმლით ვაჭრობა რუსეთის ფედერაციის სავაჭრო ქსელში.

სხდომაზე აღინიშნა, რომ მომხმარებელს ყოველთვის როდი შეუძლია შეიძინოს მაღაზიებში ხალათები, მოკლე კომბინეზონები, საჭირო ზომისა და სიგრძის კოსტუმები, სპეციალური საღებნოებით დამუშავებული ქსოვილის ნაწარმი.

საკავშირო პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა რუსეთის სფსრ ვაჭრობის სამინისტროსა და რუსეთის სამომხმარებლო კოოპერატივთა კავშირის გამგეობის ყურადღება მიაქცია იმას, რომ ფართოდ და მრავალფეროვნად უნდა დაკმაყოფილდეს მოსახლეობის მოთხოვნილებანი სამუშაო ტანსაცმლით და ფეხსაცმლით.

ᲛᲔᲝᲠᲔ ᲓᲘᲓᲘ ᲡᲐᲛᲨᲝᲑᲚᲝᲨᲘ

ალჟირში მდგომარეობა გამწვავდა

ალჟირი 30 სექტემბერი (საკდესი). კვირადღეს დილით კაბილიის (ალჟირის რაიონი, სადაც ბერბერები სახლობენ) ადმინისტრაციულ ცენტრში ქალაქ ტიზი-უზუში გაიმართა მთავრობის საწინააღმდეგო დემონსტრაცია, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ზოგიერთი მახლობელი სოფლის მცხოვრებლებმა, აგრეთვე იმ ნაწილების შეიარაღებულმა ჯარისკაცებმა, რომლებიც მეშვიდე სამხედრო ოლქის შემადგენლობაში შედიან. დემონსტრაციის დროს ამ ოლქის ჯარების სარდალმა პოლკოვნიკმა მოჰანდ ულ ელ-ჰაჯმ დემონსტრანტებს მოუწოდა არ დამორჩილებოდნენ ალჟირის კანონიერ მთავრობას.

ამასთან დაკავშირებით გუშინ საღამოს ალჟირის რესპუბლიკის პრეზიდენტმა და ალჟირის შეიარაღებული ძალების უმაღლესმა მთავარსარდალმა ამმედ ბენ ბელამ რადიოთი და ტელევიზიით მოწოდებით მიმართა ალჟირის მოსახლეობას. მან განაცხადა, რომ პოლკოვნიკი მოჰანდ ულ ელ-ჰაჯი გათავისუფლებულია მეშვიდე სამხედრო ოლქის სარდლის მოვალეობისაგან.

„როგორც რესპუბლიკის პრეზიდენტი და შეიარაღებული ძალების უმაღლესი მთავარსარდალი, — განაცხადა დასასრულ ბენ ბელამ, — ვუბრძანებ მეშვიდე სამხედრო ოლქის ყველა ოფიცერს, უნტეროფიცერსა და ჯარისკაცს აღარ დამორჩილოს პოლკოვნიკ მოჰანდ ულ ელ-ჰაჯის ბრძანებებს.

უკანასკნელი ცნობების თანახმად, კაბილიაში წესრიგი აღდგენილია.

ფესტივალმა წარმატებით ჩაიარა

ლონდონი, 30 სექტემბერი. (საკდესი). ლონდონის ერთერთ უდიდეს დარბაზში „ალბერტ-ჰოლში“ გუშინ გაიმართა იმ საბჭოთა მსახიობების დასკვნითი კონცერტი, რომლებიც მონაწილეობას იღებდნენ რუსული და საბჭოთა მუსიკის ფესტივალში.

დასკვნითმა კონცერტმა უდიდესი წარმატებით ჩაიარა. „ალბერტ-ჰოლის“ 7 ათასზე მეტმა მაყურებელმა მოისმინა ჩაიკოვსკის პირველი კონცერტი ფორტეპიანოსა და ორკესტრისათვის და უვერტიურა „1812 წელი“, ხაჩატურიანის კონცერტი ვიოლინოსა და ორკესტრისათვის, შჩედრინისა და სხვა კომპოზიტორთა ნაწარმოებები. ჩაიკოვსკის ნაწარმოებთა ვირტუოზული ოსტატობით შესრულებამ პიანისტ იაკობ ფლიერს დიდი წარმატება მოუპოვა. დიდხანს არ წყდებოდა ტაში. ასეთივე შეხვედრა მოუწყვეს ლონდონელებმა იგორ ოისტრახს, რომლის ვიოლინოს ლონდონის ზოგიერთმა გაზეთმა „მეტრადი“ უწოდა. მაყურებლებმა აიძულეს „ბისზე“ დაკვრა ჩაიკოვსკის უვერტიურის „1812 წელი“ ნაწილი, რომელიც შეასრულა მოსკოვის ფილარმონიის ორკესტრმა მეფის გვარდიელთა სასულე ორკესტრთან ერთად.

კონცერტის შემდეგ საკდესის კორესპონდენტმა სთხოვა მოსკოვის ფილარმონიის ორკესტრის დირიჟორს კ. კონდრაშინს გაეზიარებინა თავისი აზრი ფესტივალის გამო.

არ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ცივად შეგვხვდნენ, თქვა კ. კონდრაშინმა. ეს მით უფრო ძვირფასია, რომ ფესტივალის დროს სრულდებოდა რთული ფილოსოფიური ნაწარმოებებიც ისეთი კომპოზიტორებისა, როგორიც არიან შოსტაკოვიჩი და ვაინბერგი. ფესტივალი დიდი გამოცდა იყო ჩვენთვის, რადგანაც მისი პროგრამა ძალიან მრავალფეროვანი და დიდი იყო. სულ შევასრულეთ 8 სხვადასხვა პროგრამა.

ფესტივალმა, უეჭველია, წარმატებით ჩაიარა. რაც უფრო მეტი იქნება ასეთი ფესტივალი, მით უფრო უკეთესია, ამბობს დასასრულ კ. კონდრაშინი. მუსიკის საშუალებით ჩვენ უფრო გუასლოვდებით ერთმანეთს ხელოვნების გაგებაში.

საბჭოთა მუსიკოსები გაფრინდებიან პარიზს, სადაც გამართავენ ორ კონცერტს.

ᲣᲙᲐᲜᲐᲡᲙᲜᲔᲚᲘ ᲡᲐᲐᲗᲘ

ურალში მოვიდა ბუხარის გაზი

ორსკი, 28 სექტემბერი. (საკდესის კორ.). დღეს ორსკში ანთო „ცისფერი ალის“ ჩირაღდანი, მან მცხოვრებლებს აუწყა ქალაქში ბუხარის გაზის მოსვლა. ორსკის მცხოვრებლებმა პირველებმა ურალში მიიღეს ეკონომიური სათბობი.

დღეს ათასობით ქალაქის მცხოვრები შეიკრიბა ხალხმრავალ მიტინგზე, რათა მადლობა გამოუცხადათ მიწისქვეშა მაგისტრალის მშენებელთათვის. ეს მათ გადალახეს უდაბნოები, მთები და ველები, ასობით მდინარე და გაიყვანეს 1.500 კილომეტრზე მეტი გაზსადენი და ორსკს ვადამდე ერთი თვით ადრე მიაწოდეს გაზი.

მიტინგის მონაწილეებმა მიიღეს მისასალმებელი წერილი სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსადმი.

ჩვენი მთავარი საგრუნავი

დღეს იწყება სასწავლო წელი პოლიტიკური განათლების სისტემაში

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმმა პარტიული ორგანიზაციები, იდეოლოგიური ფრონტის მუშაკები ახალი გაზრდილი ამოცანების წინაშე დააყენა. აღვზარდოთ მშრომელები მარქსიზმ-ლენინიზმის იდეების, კომუნიზმის საქმის ერთგულების სულისკვეთებით, ავამაღლოთ მათი პოლიტიკური და ეკონომიური ცოდნის დონე — ასეთი დევიზით მიმდინარეობდა პოლიტიკური განათლების სისტემაში ახალი სასწავლო წლისათვის მზადება გორის ბამბეულობის კომბინატში.

კომბინატში იმუშავებს 26 წრე, პოლიტსკოლა და სემინარი, რომლებშიც გაერთიანდება 500-ზე მეტი ფეიქარი. 18 კაცი ჩაირიცხა პარტიის გორის საქალაქო კომიტეტთან არსებულ მარქსიზმ-ლენინიზმის სალამოს უნივერსიტეტში, ხოლო 600-ზე მეტი კაცი სწავლობს საშუალო ტექნიკურ და უმაღლეს სასწავლებლებში.

გასული წლების პრაქტიკამ დაგვანახვა, რომ ძალიან კარგ შედეგს იძლევა მშრომელთა მიერ ეკონომიური ცოდნის დაუფლება. ამიტომ უკვე შევქმენით და 1 ოქტომბრიდან მეცადინეობას შეუდგება წარმოების კონკრეტული ეკონომიკის შემსწავლელი 16 სემინარი. პროპაგანდისტებად შევარჩიეთ ყველაზე მოწინავე მუშები, უნარიანი, ავტორიტეტული ამხანაგები. ამ დღეებში კომბინატის ტექნიკურ ბიბლიოთეკაში პარტიის გორის საქალაქო კომიტეტის პოლიტიკური განათლების კაბინეტმა მოაწყო პროპაგანდისტთა ერთდღიანი სემინარი, რომელიც მეთოდურ ხასიათს ატარებდა.

გასულ წელთან შედარებით წელს პოლიტიკურ სწავლებაში ბევრი სიახლე დაინერგება. მაგალითად, გადაწყვეტილი გვაქვს წარმოების კონკრეტული ეკონომიკის შემსწავლელი სემინარების მუშაობაში შემოვიღოთ პრაქტიკული მეცადინეობა. როგორ მოეწყობა ეს? ვთქვათ, მსმენელებმა თეორიულად შეისწავლეს ამა თუ იმ ფაბრიკაში შრომის ნაყოფიერების ამაღლების გზები. მომდევნო მეცადინეობა საამქროში გაიმართება. მსმენელები უშუალოდ მივლენ მანქანებთან, დაზგებთან, წამოაყენებენ თავიანთ წინადადებებს მანქანა-დანადგართა წარმადობის გადიდებისათვის.

ჩვენი მიზანია წელს პოლიტიკური სწავლება ისე მოვაწყოთ, რომ არ დავუშვათ მეცადინეობის უფერულად, უინტერესოდ, უხარისხოდ მოწყობის არცერთი შემთხვევა. მსმენელები პროგრამით გათვალისწინებულ საკითხებთან ერთად გაეცნობიან მიმდინარე პოლიტიკის უახლეს საკითხებს, მეცადინეობას მჭიდროდ დაუკავშირებენ პრაქტიკულ საქმიანობას.

მესამე წელია კომბინატთან საზოგადოებრივ საწყისებზე შეიქმნა პოლიტიკური განათლების კაბინეტი. თუ წინათ იგი მთელი თავისი შესაძლებლობით ვერ მუშაობდა, წელს მისი მოღვაწეობა ძირფესვიანად გარდაიქმნება. უკვე შევქმენით კაბინეტის მეთოდური საბჭო თერთმეტი კაცის შემადგენლობით. საბჭოს შემადგენლობაში შევიდნენ საუკეთესო პროპაგანდისტები, ფაბრიკების აგიტკოლექტივების ხელმძღვანელები, ლექტორ-მომხსენებელთა ჯგუფის წევრები. მეთოდური საბჭო ამუშავებს წინასწარ შედგენილი გეგმით, პროპაგანდისტებისათვის პერიოდულად მოაწყობს თათბირ-სემინარებს, უხელმძღვანელებს და წარმართავს პოლიტიკურ სწავლებას.

კომბინატში შემოვიღეთ პროპაგანდისტთა მორიგეობა.

პარტიული კომიტეტი, პოლიტიკური განათლების კაბინეტი შემდგომშიც მთელი პასუხისმგებლობით მოეკიდებიან თავიანთი მოღვაწეობის ამ სერიოზულ უბანს და პოლიტიკური სწავლების საქმეს ისე მოაწყობენ, რომ ამან კომბინატის მრავალათასიან კოლექტივს ხელი შეუწყოს მის წინაშე მდგომი სამეურნეო ამოცანების წარმატებით გადაჭრაში, სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებათა განხორციელების საქმეში.

ე. გუთხუზი,
გორის ბამბეულის კომბინატის პარტიული კომიტეტის მდივანი.

ა. ტაბატაძე,
კომბინატის პოლიტიკური განათლების კაბინეტის გამგე.

ეკონომიურ კონფერენციაზე

გათუში, (საკ. კორ.). პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის იდეოლოგიურმა განყოფილებამ ქედის რაიონის ზეარეს სასოფლო საბჭოს ცენტრში მოაწყო ეკონომიური კონფერენცია, რომელსაც ესწრებოდნენ სოფლის მეურნეობის მოწინავეები და სპეციალისტები.

კონფერენციაზე მოხსენებები წაიკითხეს: აჭარის ასსრ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების მინისტრმა ი. ცივაძემ — „სოფლის მეურნეობისადმი ხელმძღვანელობის გარდაქმნა და ქედის რაიონის კოლმეურნეობათა განვითარების პერსპექტივები“, პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის ლექტორმა ქ. ელაზბარაშვილმა — „სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების თვითღირებულება და მისი შემცირების გზები“, ი. მიქელაძემ — „შრომის ნაყოფიერების გადიდების გზები მეთამბაქოობის კოლმეურნეობებში“, ს. ჩიხლაძემ — „მეცხოველეობის განვითარების პერსპექტივები“ და სხვ.

ლექტორები მოწინავე ბაზაზე

კარგად მუშაობს სოფლის „ცოდნის“ სიღნაღის რაიონული განყოფილება, რომელშიც 111 ლექტორია გაერთიანებული. მათ წელს კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში, ღვინის ქარხნებში და სხვ. ორი ათასზე მეტი ლექცია წაიკითხეს.

განსაკუთრებული ენთუზიაზმით მუშაობენ ლექტორები მ. ბაღაშვილი, გ. მირაშვილი, ნ. ალუღიშვილი, ნ. ტერტეროვი და სხვები. ლექტორთა ჯგუფი (ხელმძღვანელი ნ. ალუღიშვილი) მაც ზაფხულის მანძილზე საკოლმეურნეო ფერმებსა და ბრიგადებში 50-ზე მეტი ლექცია წაიკითხა.

ქადრეზის ეკონომიური სწავლება

ჭიათურის ღენინის სახელობის მაღაროში სეროზული ყურადღება ექცევა ხელმძღვანელი კადრების ეკონომიურ სწავლებას. აქ შექმნილია წარმოების ეკონომიკის შემსწავლელი მუდმივმოქმედი ორი სემინარი, სადაც 67 ხელმძღვანელი მუშაკია გაერთიანებული.

სემინარების ხელმძღვანელებად პარტკომმა კომიტეტმა შეარჩია მაღაროს მთავარი ინჟინერი კ. მჭედლიშვილი და ცენტრალური გამამდიდრებელი ფაბრიკის მთავარი ინჟინერი თ. მიქაშავიძე. ამას გარდა მაღაროში შეიქმნა სოციალისტური მრეწველობის ეკონომიკის შემსწავლელი ხუთი წრე.

ომსანიშნავი თაოსნობა

გიგლიოთეკა—დაუსწრებელი სწავლების სტუდენტებს

ამ შესანიშნავი თაოსნობის ისტორია ასე დაიწყო: გასული წლის 27 თებერვალს ცხაკაიას რაიონულ გაზეთ „ავანგარდში“ (ახლა საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გაზეთი „კოლხეთის ცისკარი“) გამოქვეყნდა ცხაკაიას რაიონიდან გამოსულ, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტეკონომიურ, საქართველოს შრომის წითელდროშოვან სასოფლო-სამეურნეო და თბილისის პუშკინის სახელობის ინსტიტუტებში მომუშავე პროფესორ-მასწავლებელთა ერთი ჯგუფის წერილი.

წერილს ხელს აწერდნენ საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის დაუსწრებელი სწავლების ფაკულტეტის დეკანი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე პროფესორი ხარიტონ შალამბერიძე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, პოლიტეკნიკური და პუშკინის სახელმწიფო ინსტიტუტების დოცენტები: ვახტანგ კალანდარიშვილი, ბონდო ალასანია, ვლადიმერ მიქაძე, გიორგი შალამბერიძე, სოკრატ ხურცილავა, ნიკოლოზ საჯაია.

მათ ცხაკაიას რაიონიდან გამოსულ, ჩვენი რესპუბლიკის უმაღლეს სასწავლებლებსა და სამეცნიერო-საკვლევ დაწესებულებებში მომუშავე პროფესორ-მასწავლებლებს, მეცნიერ მუშაკებს მომართეს მოწოდებით: „დავეხმაროთ დაუსწრებელ სწავლებაში ჩაბმულ სტუდენტობას საჭირო ლიტერატურის სპეციალური ფონდის შექმნაში“.

ამ ინიციატივას ფართოდ გამოეხმაურნენ არა მარტო ცხაკაიას რაიონიდან გამოსულ, პროფესორ-მასწავლებლები, არამედ სხვებიც. მაგალითად, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა პროფესორმა ელენე ნანობაშვილმა, საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტეკნიკური ინსტიტუტის დოცენტმა ვ. ივანოვმა, თ. გამსახურდიამ, მ. ხანანაშვილმა გამოგზავნეს 50-ზე მეტი სახელმძღვანელო თვითეულმა. ამ ინიციატივას ასევე საქმიანად გამოეხმაურნენ პროფესორ-მასწავლებლები და მეცნიერი მუშაკები მ. ნოდია, მ. ჩიჩუა, ა. თოფურია, ნ. დგებუაძე, მ. საჯაია, ი. კოღუა, ე. კოღუა, ლ. კანკავა, გ. პაქკორია, მ. ჩხეტია და სხვ.

რედაქციამ მიიღო წერილი, რომ ამ ფონდისათვის აკადემიკოსები არნოლდ ჩიქობავა, ვარლამ თოფურია, მეცნიერებათა დოქტორები ანდრო აფაქიძე, მიხეილ შენგელია, მეცნიერებათა კანდიდატები ვ. საბაბტარაშვილი, ე. ლომთათიძე, ტ. გუდავა, ა. ცინარია, პოეტები ალიო ადამია, ალეკო შენგელია და სხვები დიდძალ სახელმძღვანელოს გზავნიან „კოლხეთის ცისკრის“ რედაქციაში ბიბლიოთეკისათვის გადასაცემად.

ამ თაოსნობას მიესალმნენ აგრეთვე უმაღლესი სასწავლებლებისა და ინსტიტუტების ბიბლიოთეკები და თავიანთი ფონდებიდან დიდძალი წიგნები გამოგზავნეს გაზეთ „კოლხეთის ცისკრის“ რედაქციაში ბიბლიოთეკასათვის გადასაცემად. მაგალითად, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან გამოგზავნეს 60 სახელმძღვანელო, საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის პროორექტორის პროფესორ დ. ერისთავის დავალებით ინსტიტუტის ბიბლიოთეკამ (გამგე ა. გვარამაძე) გამოგზავნა 564 სახელმძღვანელო წიგნები.

პატრიოტული თაოსნობის შედეგად დაუსწრებელ სწავლებაში ჩაბმული სტუდენტებისათვის პირველი მძლავრი ბიბლიოთეკა შეიქმნა ქ. ცხაკაიაში. ამჟამად მას ფონდში 2.000-მდე წიგნია. უახლოეს ხანში ეს ფონდი 5.000-ს გადააჭარბებს.

ჩვენთან საუბარში საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის დაუსწრებელი სწავლების ფაკულტეტის დეკანმა, მეცნიერების დამსახურებულმა მოღვაწემ პროფესორმა ხარიტონ შალამბერიძემ განაცხადა: — ჩვენი ინსტიტუტი ამ დღეებში ამ ფონდისათვის გამოგზავნის დიდძალ სახელმძღვანელო ლიტერატურას.

ცხაკაიას რაიონში არის 34 კოლმეურნეობა, 8 საბჭოთა მეურნეობა, ხალხის საქსოვი და ხაოიანი ქსოვილების საქსოვი ფაბრიკები და სხვ. აქ მომუშავე ასობით ახალგაზრდა წარმოებისაგან მოწყვეტლივ სხვადასხვა ინსტიტუტსა და უნივერსიტეტში სწავლობს. მათ დიდად უწყობს ხელს ჩვენი ბიბლიოთეკა.

გაზეთ „კოლხეთის ცისკრის“ რედაქციაში გამოგზავნილ წერილებში სტუდენტები მადლობას უძღვნიან პროფესორ-მასწავლებლებს ზრუნვისა და დახმარებისათვის, პირობას დებენ, რომ მზრუნველობას უპასუხებენ კარგი სწავლითა და ენერგიული შრომით.

ეს თაოსნობა უთუოდ საყურადღებო და მისაბაძია.

ვლ. ფირცხალავა,
ცხაკაიას სარაიონთაშორისო გაზეთ „კოლხეთის ცისკრის“ რედაქციის პასუხისმგებელი მდივანი.

წვრილი არ დაგეჭდილა, მაგრამ...

დამნაშავე დაისაჯა

მამხილებელ კორესპონდენციაში თბილისის ჩაიკოვსკის ქუჩის № 10 სახლის მცხოვრებნი უჩიოდნენ კალინინის რაისაბჭოს აღმასკომის სარემონტო კანტორას, რომელმაც მათ სახლს კაპიტალური რემონტი უხარისხოდ გაუკეთა. წერილი შესამოწმებლად და ზომების მისაღებად კალინინის რაისაბჭოს აღმასკომს გაეგზავნა. აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე მ. ღვინიაშვილმა რედაქციას ატყობინებს:

გაცნობებთ, რომ ჩაიკოვსკის ქუჩის № 10 სახლში 1962 წლის მე-3 კვარტალში ჩატარდა კაპიტალური შეკეთებაც შეკეთების შემდეგ აღგილი ჰქონდა მთელ რიგ ხარვეზებს, რომლებიც ნაწილობრივ გამოსწორდა, ხოლო ზოგი კვლავ დარჩა. მითითება მიეცა სარემონტო კანტორას ლიკვიდირებულ იქნას აღნიშნული ხარვეზები. სახლის რემონტის დროს დაშვებული ნაკლოვანებებისათვის სამუშაოთა მწარმოებელი ნ. ლორდარიძე განთავისუფლებულია სამუშაოდან.

რთველია ვარკეთილში

ვარკეთილის მეგენახეობის საბჭოთა მეურნეობის ვენახებში ხვავიანი შემოდგომა დგება. ასარივით გატყორცნილი მარკვნივ და მარცხნივ განსჯური და თავრიზული ვაზის მტევნებს ქარვასფერი დასდებია. ახლა ქალი თუ კაცი, მოხუცი თუ ახალგაზრდა ზვარში ტრიალებს.

აი ვენახიც. ყველა ჩქარობს. მეორე აგრეგანყოფილების (უფროსი ი. გონაშვილი) მეორე ბრიგადის (ხელმძღვანელი ზოია ტაბატაძე) წევრები ორი დღეა კრეფენ ყურძენს, მაგრამ ვენახს არაფერი ეტყობა. კარგი მოვლით გალაღებულ ვაზს უხვად დაუსხამს ყურძენი.

მეურნეობის დირექტორი ი. კავლაძე ანგარიშობს საშუალოდ ჰექტარზე 50 ცენტნერი ყურძენი იქნებაო, შარშანდელზე 14 ცენტნერით მეტი.

მეურნეობა მეექვსე წელია, რაც შეიქმნა, და წელს მეორე რთველი აქვთ. წლევანდელი ცუდი ამინდის შემდეგ ასეთი მოსავალი მართლაც გასაკვირველია. მაგრამ ბეჯითი, თავდადებული შრომა ყოველთვის იმარჯვებს. აქ ვაზი თავის დროზე შეწამლეს, გათოხნეს, სასუქი შეიტანეს. ერთი სიტყვით, აგროწესებით გათვალისწინებული სამუშაოები დროულად შეასრულეს, და მოსავალმა ადამიანები გაახარა.

— ვინ პირველობს მკრეფავებს შორის? შევეკითხეთ მეურნეობის მთავარ აგრონომს შ. მახარაშვილს.

— ყველა კარგია, მაგრამ ზოია ტაბატაძის ბრიგადას მაინც ვერავინ შეედრება.

ტაბატაძის ბრიგადას ორმოცდაათი ჰექტარი ვენახი აბარია, და ერთ ძირ ვაზსაც ვერ ნახავთ მოუვლელს. ბრიგადამ წელს ჰექტარზე 40 ცენტნერი ყურძნის მოღება იკისრა. ფაქტიურად 50 ცენტნერსაც არ სჯერდება.

მეურნეობის დირექტორმა სხვა ბრიგადის ვენახებიც შემოგვატარა. ვაზისთვის ყველგან საგულდაგულოდ მოუვლიათ. ზვრებს შორის კი, პატარა მინდორზე, ეგრეთწოდებულ მიმდვა პუნქტთან ი. გონაშვილი და შ. მახარაშვილი სასწორს ძართავენ. წამდაუწუმ მოდიან აქ მკრეფავები: მარო წიკლაური, დარო თუთიაშვილი, ლიზა წიკლაური, ლენა აუღლიშვილი, გულნარა კუპრეიშვილი, გრიშა შავერდაშვილი. სამოცდაათ წელს მიღწეულ დარიკო ხმალაძეს მხარზე ორი კალათა დაუდგამს და თხუთმეტი წლის ყმაწვილივით დაჭრის ვაზებს შორის, ჯარასავით ტრიალებს. მიმღები ვერ ასწრებს ჩაწერას. კალათები იცლება სპეციალურ ყურძნის გოდრებში და იტვირთება ავტომანქანები.

ახლა არ შეიძლება არც ერთი საათის, არც ერთი წუთის გაცდენა. განჯური, თავრიზული და ბელგარული ჯიშის ყურძენი დაშაქრებულია საკმაოზე მეტად. ახლა მთავარია მოსავალს უდანაკარგოდ აღება და სახელმწიფოსათვის მიყიდვა.

თბილისის მაღაზიებში გასაყიდად უკვე გამოჩნდა განჯური ჯიშის ყურძენი. ეს ვარკეთილის საბჭოთა მეურნეობის ნაამაგარია.

ვარკეთილის საბჭოთა მეურნეობის ვენახები 300 ჰექტარს აჭარბებს. ასოთხმოცი ჰექტარი ახალგაზრდაა. დანარჩენი კი მეორე წელია რაც მოსავალს იძლევა. გეგმასთან შედარებით 50 ტონაზე მეტი ყურძენი სახელმწიფოს! ეს ვარკეთილელებმა ყურძნის კრეფის დაწყების დღეებიდანვე იკისრეს. ამ დღეებში მოსკოვის მშრომელებისათვის გაიგზავნა 40 ტონამდე ყურძენი.

შ. ჭოჭუა,
„კომუნისტის“ სპეც. კორ.

• • •

სურათზე: (მარცხნიდან) ც. წიკლაური, ლ. გიგაური, მ. ქავთარაძე, გ. კუპრეიშვილი და ა. მარკოსიანი ვარკეთილში.
ფოტო გ. გოგოხიასი.

ულამაზესი ბრძოლა — სოფლის უსაქმურებს

პირველადი პარტორგანიზაციების საანგარიშო-საარჩევნო კრებებზე

მრეწველობის სახელობის შახტი ჩამორჩენილი იყო. საექსპლოატაციო უბნებში და ცვლებში იერიშით მუშაობდნენ, ერთნი დაწინაურდებოდნენ, სამაგიეროდ მეორენი ჩამორჩებოდნენ. თვის დასაწყისში შახტში საერთო მოშვებულობა იგრძნობოდა. ცუდად მუშაობდა მოძრაობის უბანი, რომელიც ვერ უზრუნველყოფდა სანგრევებიდან ქვანახშირის დროულად გამოზიდვას, თანაც გაუარესდა პროდუქციის ხარისხი და ამან ზოგი მომხმარებელი ორგანიზაცია აიძულა უარი ეთქვა ამაური ქვანახშირის წაღებაზე. გაიხსენეს მრავალჯერ ნაცადი ციკლური გრაფიკით მუშაობა.

სანგრევებში, იქ, სადაც უშუალოდ წყდება ქვანახშირის მოპოვების ბედი, შემოიღეს შრომის ორგანიზაციის პროგრესული ფორმა — სადღეღამისო ციკლური გრაფიკით მუშაობა. საქმეს სათავეში ჩაუდგა საშახტო პარტიული ორგანიზაცია.

არ გაუვლია დიდ ხანს, რომ ციკლური გრაფიკით მუშაობამ უკვე ნაყოფი გამოიღო. შახტმა თანდათან გააუმჯობესა მუშაობა, საექსპლოატაციო უბნებმა, ცვლებმა და ბრიგადებმა დაიწყეს ქვანახშირის სადღეღამისო დავალების სისტემატურად შესრულება. შრომის ნაყოფიერების დიაგრამის მრუდი ზევით და ზევით წავიდა.

შახტში სატვირთავ პუნქტებთან ვაგონეტების უკუსვლით წაყვანისას საშახტო ელმავალს სჭირდება ენერგიის მაქსიმალური დაძაბვა. ეს იწვევს ელექტრობატარეების ნაადრევ განმუხტვას. ხშირი ბუქსაობის გამო ფუჭდება ელმავლის თვლები, ნელდება მათი ბრუნვის სიჩქარე და თანაც ელმავლის მემანქანეს უხდება შემადგენლობა ბრძად წაიყვანოს, რადგან მხდველობის არეს ვაგონეტები ეფარებიან. ეს კი იწვევს უსაშიშრობის წესების უხეში დარღვევას.

ყველა ამ უხერხულობის თავიდან ასაცილებლად რაციონალიზატორმა მუშახტემ ო. ბუბაშვილმა წარმოადგინა წინადადება სატვირთავ პუნქტში მძლავრი სამთო ჯალამბრის მოწყობის შესახებ. თუ ჯალამბარს გამართავდნენ და ამუშავებდნენ, მაშინ არ იქნებოდა საჭირო სატვირთავ პუნქტთან ელმავლის უშუალოდ მისვლა, ელმავალი სატვირთავი პუნქტიდან გარკვეული მანძილზე ჩამოეხსნებოდა შემადგენლობას, რომელსაც დასატვირთავად ჯალამბრით ათრევდნენ, ხოლო შემდეგ დატვირთულ შემადგენლობას იგივე ელმავალი ისევ წინიდან მოებმებოდა.

ბუბაშვილის წინადადება დიდ წინააღმდეგობას წააწყდა. მეოთხე და პირველი საექსპლოატაციო უბნების უფროსები ო. გოლგაძე და დ. ტუკვაძე მას „ხიშტებით“ დახვდნენ. ისინი თავგამოდებით „ამტკიცებდნენ“, რომ ჯალამბრის დამონტაჟება დაუძლეველი სირთულეა, კიდევაც რომ დავამონტაჟოთო, სულ ერთია საქმეს ამით არ ეშველება, შახტის სიღრმეში ჯალამბრის შეტანა ქვანახშირის თვითღირებულებას გაზრდის, სანგრევში შრომის ნაყოფიერებას შეამცირებს და ა. შ.

საჭირო იყო საკითხის ძირფესვიანად და მხარი დაუჭირეს რაციონალიზატორს.

სულ მალე მეოთხე უბანში ამოქმედდა სამთო ჯალამბარი, ხოლო ახლა შახტის ყველა სატვირთავი თუნქტი მექანიზებულია. საშახტო ელმავლები გადაყვანილი არიან ცენტრალურ სამთო ველებში. სამთო ჯალამბრის ამუშავებამ დაიჩქარა საშახტო ვაგონეტების ბრუნვა, გააუმჯობესა მიწისქვეშა ტრანსპორტის მუშაობა, შეამცირა მუშახელი.

ორჯონიკიძის სახელობის შახტში, ისევე როგორც ტყიბულის ქვანახშირის ტრესტის სხვა შახტებში, ქვანახშირის მომხვეტი კონვეიერების მუშაობაზე დაკვირვებამ ცხადყო, რომ საჭირო იყო მემატორეთა კადრების შევსება. სად უნდა მოენახათ ისინი?

ერთადერთი გამოსავალი იყო მემატორების შეცვლა ავტომატებით.

კომუნისტების ამხ. დ. კაცაძის, ნ. ახვლედიანის და სხვათა წინადადებით გადაწყდა კონვეიერების მართვის ავტომატიზაციის განხორციელება. შეიძინეს და შახტში მოიტანეს საავტომატიზაციო ხელსაწყოები. ექვსი მომხვეტი კონვეიერი გადაყვანილ იქნა ავტომატურ მართვაზე. ამ სიახლემ კარგი შედეგი გამოიღო. საჭირო აღარ არიან მემატორენი, ისინი გამოყენებული არიან სხვა სამუშაოზე. ეკონომიამ 18.000 მანეთზე მეტი შეადგინა.

შარშან ტყიბულელმა მეშახტეებმა შეიტყეს, რომ დონეცკელმა მეშახტემ, სოციალისტური შრომის გმირმა ალექსანდრე კოლჩიკმა ჩამოაყალიბა სადღეღამისო კომპლექსური ბრიგადა და მიიღწია შრომის ნაყოფიერების დიდ ამაღლებას.

რაშია საიდუმლოება, როგორ მოაწყეს უკრაინელმა მეშახტეებმა კომპლექსური ბრიგადა, რა პრინციპით, რანაირად? ტყიბულის ორჯონიკიძის სახელობის შახტიდან დონეცკში ამ გამოცდილების გასაცნობად მიავლინეს სამთო სპეციალისტი ამხ. ვ. ტყებლაძე.

საექსპლოატაციო უბანში ჩვეულებრივ ოთხ ცვლად მუშაობენ. ყოველ სანგრევში ქვანახშირის მოპოვებაზე დასაქმებულია 23 პროფესიის ადამიანი. თვითეული ცვლა დაინტერესებულია მოანგრიოს რაც შეიძლება მეტი ქვანახშირი, ხოლო როგორ იმუშავებს მომდევნო ცვლა, ეს მას არ აინტერესებს. ამიტომ მეშახტეები სანგრევს ხშირად მოუმზადებელს ტოვებენ. სანამ მომდევნო ცვლა სანგრევს გადაამაგრებს, დაბურღავს და აფეთქებს, მისი ბრიგადის ხელმძღვანელად შეარჩიეს ყველაზე ავტორიტეტიანი მეშახტე, კომუნისტი შ. დაღუნდარიძე.

შარშან ივლისში ბრიგადა შეუდგა ახლებურად მუშაობას. ერთი თვის თავზე შეაჯამეს ახალი მეთოდით მუშაობის შედეგები და აღმოჩნდა, რომ წინა თვესთან შედარებით ბრიგადამ ქვანახშირის მოპოვება გაადიდა 10 პროცენტით, ამაღლდა შრომის ნაყოფიერება, გაიზარდა მუშათა ფულადი გამომუშავება და შესამჩნევად გაუმჯობესდა ქვანახშირის ხარისხი.

ახლა ორჯონიკიძის სახელობის შახტში ოთხი სადღეღამისო ბრიგადა მუშაობს. ყველა გადაჭარბებით ასრულებს გამომუშავების ნორმებს. მუშათა საშუალო გამომუშავება 20 მანეთით გაიზარდა.

ახალი შედეგი მოგვცა ტყიბულელი მეშახტეების გაბედულმა მისწრაფებამ სიახლეებისადმი.

ვ. ცირეკიძე,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

სიახლისადმი მისწრაფებით

შახტში ასე ამაღლებენ შრომის ნაყოფიერებას

ორჯონიკიძის სახელობის შახტის პარტიული ორგანიზაცია სათავეში ჩაუდგა ტყიბულში უკრაინელთა ამ გამოცდილების გადმოტანას. სადღეღამისო კომპლექსური ბრიგადა შეარჩიეს ყველაზე ავტორიტეტიანი მეშახტე, კომუნისტი შ. დაღუნდარიძე.

შარშან ივლისში ბრიგადა შეუდგა ახლებურად მუშაობას. ერთი თვის თავზე შეაჯამეს ახალი მეთოდით მუშაობის შედეგები და აღმოჩნდა, რომ წინა თვესთან შედარებით ბრიგადამ ქვანახშირის მოპოვება გაადიდა 10 პროცენტით, ამაღლდა შრომის ნაყოფიერება, გაიზარდა მუშათა ფულადი გამომუშავება და შესამჩნევად გაუმჯობესდა ქვანახშირის ხარისხი.

ახლა ორჯონიკიძის სახელობის შახტში ოთხი სადღეღამისო ბრიგადა მუშაობს. ყველა გადაჭარბებით ასრულებს გამომუშავების ნორმებს. მუშათა საშუალო გამომუშავება 20 მანეთით გაიზარდა.

ახალი შედეგი მოგვცა ტყიბულელი მეშახტეების გაბედულმა მისწრაფებამ სიახლეებისადმი.

ვ. ცირეკიძე,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

„კომუნისტის“ სიგნალის შემდეგ

გაცრუებული იმედები

ამ სათაურით გაზეთ „კომუნისტის“ მიმდინარე წლის 6 სექტემბრის ნომერში გამოქვეყნდა წერილი, რომელშიც გაკრიტიკებული იყო მოუქნელი მუშაობა კასპის სარემონტო კანტორისა, რომელმაც იგისრა გორის რაიონის სოფელ ღოესის საშუალო სკოლისათვის დაწყებული ახალი სასკოლო შენობის დამთავრება, მაგრამ თავი ვერ მოაბა და მშენებლობა ფაქტიურად მიატოვა.

კასპის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. თ. პაპიაშვილი ამ წერილის თაობაზე გვატყობინებს:

„საქალაქო საბჭოს სარემონტო კანტორის მუშაობას სერიოზული ნაკლოვანებები ახასიათებს. რამდენიმე დღის წინათ ამ სარემონტო კანტორის მუშაობის საკითხი განიხილა საქართველოს კპ კასპის სამრეწველო საწარმოო კომიტეტის ბიურომ და კანტორის უფროსი ღ. მაჭავარიანი და მთავარი ინჟინერი დ. თოფურია გაათავისუფლა თანამდებობიდან“.

დანგრეული გუდეები

ასეთი სათაური ჰქონდა საყოფაცხოვრებო თემაზე დაწერილ წერილს, რომელიც დაიბეჭდა „კომუნისტის“ მიმდინარე წლის 17 აგვისტოს ნომერში.

ამ წერილთან დაკავშირებით საქართველოს სს რესპუბლიკის პროკურატურის საგამომძიებლო განყოფილებამ რედაქციას აცნობა შემდეგი: „დუშეთის რაიონის პროკურატურამ შალვა ივანეს-ძე ატაშვილი, რომელმაც თავისი მეუღლე მარო ხოშვილი მიიყვანა თვითმკვლელობამდე, პასუხისგებაში მისცა ხისხლის სამართლის წესით. დუშეთის რაიონის საბალხო სასამართლომ ამორალური საქციელისათვის შ. ატაშვილს მიუსაჯა 6 წლით თავისუფლების აღკვეთა, ხოლო პავლე ლევანის-ძე ბუნტურისა და პავლე იოსების-ძე ბაიაშვილის საქონლის შემოწმება დაევალა ხიდნაღის რაიონის პროკურორს“.

საერთაშორისო დემოკრატიული ცნობარი ცხოვრება

კუბა გაიმარჯვებს

ფიდელ კასტროს სიტყვა

ჰავანა, 30 სექტემბერი. (საკდესი). კუბელმა ხალხმა ფართოდ აღნიშნა რევოლუციის დაცვის კომიტეტების მესამე წლისთავი. 28 სექტემბერს გვიან საღამოს ჰავანაში ხოსე მარტის სახელობის რევოლუციის მოედანზე გაიმართა მშრომელთა მრავალათასიანი მიტინგი.

მიტინგის დასაწყისში გამოქვეყნდა კუბელ ქალთა ფედერაციის მისალმება, რომელშიც აღნიშნულია, რომ რევოლუციის დაცვის კომიტეტების ახლანდელი ეტაპი წარმოადგენს მსოფლიოს პირველი კოსმონავტი ქალის ვალენტინა ტერეშკოვას მომავალ ჩამოსვლას კუბაში.

შემდეგ სიტყვა იმის შესახებ, თუ რა მნიშვნელობა აქვს რევოლუციის დაცვის კომიტეტებს კუბის თავდაცვისათვის, გააკეთა რევოლუციის დაცვის კომიტეტების ეროვნული ხელმძღვანელობის თავმჯდომარემ ხოსე მატარმა.

ხოსე მატარის შემდეგ სიტყვა კუბის სახიანო და საერთაშორისო მდგომარეობის აქტუალურ პრობლემათა შესახებ წარმოთქვა კუბის სოციალისტური რევოლუციის ერთიანი პარტიის ეროვნული ხელმძღვანელობის პირველმა მდივანმა, პრემიერ-მინისტრმა ფიდელ კასტრომ.

სიტყვის დასაწყისში ფიდელ კასტრომ აღნიშნა, რომ საჭიროა კუბის რესურსების უფრო რაციონალური გამოყენება შრომის საერთაშორისო განაწილების გათვალისწინებით.

ფიდელ კასტრომ ხაზგასმით აღნიშნა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს სოციალისტური ქვეყნების დახმარებას რევოლუციური კუბისადმი.

შემდეგ ფიდელ კასტრომ თქვა: იმპერიალისტები ცდილობენ სულ უფრო მეტი ზეგავლენა მოახდინონ ჩვენზე. ისინი ცდილობენ ალყა შემოარტყან კუბას და გააძლიერონ ბლოკადა. ამ ბოლო თვეებში ეს პოლიტიკა გაძლიერდა. არ შეგვიძლია მშვიდად ვადევნოთ თვალი, რომ მაშინ, როცა სხვა ადგილებში დაძაბულობა ნელდება, ჩვენთვის იგი ძლიერდება. არა, ჩვენ არ გვინდა დაძაბულობის გაძლიერება მსოფლიოში. გვახარებს, რომ იგი კი არ ძლიერდება, არამედ ნელდება. მაგრამ არ შეგვიძლია იმის თქმა, რომ მშვიდობიან მდგომარეობაში ვიყოთ იმპერიალიზმთან, რომელიც სულ უფრო მეტ ძალღონეს ხმარობს, რომ დაგვხბრჩოს.

ეს ვითარება, განაგრძო კასტრომ, განსაზღვრავს ჩვენს პოზიციას საერთაშორისო ასპარეზზე. ეს არ არის ომის პოლიტიკა, ეს არის მშვიდობის პოლიტიკა. მაგრამ როდი მიგვიძღვის ბრალი ომში, რომელსაც ჩვენს წინააღმდეგ აწარმოებენ. როდი მიგვიძღვის ბრალი სასტიკ ბლოკადაში, რომელიც ჩვენს წინააღმდეგ მოაწყვეს. ჩვენ პატარა ქვეყანა ვართ, რომელსაც თავს ესხმიან, უწყობენ ბლოკადას, ქვეყანა, რომლის წინააღმდეგ ხორციელდება გამოუცხადებელი ომის პოლიტიკა, მეცობრული თავდასხმები, ჩვენს ქვეყანაში გზავნიან დივერსანტებს იარაღითა და ფეთქებადი ნივთიერებებით, ჰქმნიან ბაზებს იმისათვის, რომ თავს დაგვესხან და დაგვხოცონ. იმპერიალისტები ჩვენი მტრები არიან, და ჩვენც შევლტები ვიყოთ მათი მტრები. ასეთი ვითარება განსაზღვრავს ჩვენს პოლიტიკას საერთაშორისო ასპარეზზე, გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში, ყველგან. და ჩვენ გავიმარჯვებთ, რადგან ამისათვის საკმაოდ გვყავს მოკავშირეები, საკმაოდ გვაქვს ღირსება, სიმამაცე, გმირობა, თავდადების სულისკვეთება.

კუბის პოზიცია, თქვა შემდეგ ფ. კასტრომ, ეს უწინარეს ყოვლისა ანტიიმპერიალიზმია. ჩვენი ხაზი თანამიმდევრული ანტიიმპერიალიზმის ხაზია, ხაზია ბრძოლისა, უმთავრესად, ამერიკის იმპერიალიზმის წინააღმდეგ. ჩვენ კონკრეტულ ვითარებაში ვართ. მტერი ჩვენგან დაშორებულია ოთხმოცდაათი მილით, იგი ხელს გვიშლის, ბლოკადას გვიწყობს, გვემუქრება, ცდილობს მოგვსპოს.

ჩვენი ხაზი ამ მტრის წინააღმდეგ ბრძოლის ხაზია. ეს ჩვენი ხაზი შეესაბამება კუბის რევოლუციის კონკრეტულ პირობებს, მსოფლიოს იმ ადგილის სპეციფიკურ პირობებს, სადაც იგი წარმოუბს, ამერიკის იმპერიალიზმის მეზობლად და იმ კონტინენტის ხალხებთან ძმობაში, რომელსაც ეს იმპერიალიზმი უწევს ექსპლოატაციას.

ეს გარემოებანი განსაზღვრავენ ჩვენს მოქმედებასა და ჩვენს ხაზს — პარტიისა და ჩვენი ხალხის ხაზს, რომლებიც იყვნენ და მუდამ იქნებიან ერთიანი, რადგან უხარი შეგვწევს ღირსეულად წარმოვიდგინოთ ეს ერი, მისი გრძნობები, მისი ისტორია, ამ ხალხის სიდიადე და ღირსება. იმიტომ, რომ ჩვენს ხალხთან ერთად შევძლებთ წინააღმდეგობა გავუწიოთ ყოველგვარ უაღრესად ძნელ გარემოებას.

შემდეგ ფიდელ კასტრომ განაცხადა, რომ კუბელი ხალხი თავისი გმირული ბრძოლით მოიპოვებს გამარჯვებას. ჩვენ გავიმარჯვებთ, თქვა მან, იმიტომ, რომ ახლა ხალხების დროა, სახალხო აჯანყებათა დროა, როცა ყველა კონტინენტის ხალხები იშორებენ იმპერიალისტურ უღელს.

შემთხვევით როდი ასრულებს კუბა დიდმნიშვნელოვან როლს თანამედროვე მსოფლიოში, თქვა დასასრულ ფიდელ კასტრომ. ეს როლი ეკუთვნის მას იმიტომ, რომ შეუძლია შეასრულოს იგი კუბელი ხალხის შესანიშნავ ღირსებათა მეოხებით, რომელიც მთელი მსოფლიოსთვის გახდა სიმამაცის, გმირობის, თავდადების მაგალითი. ხალხისა, რომელიც აშენებს თანამედროვე კუბას, რომელსაც მთელი მსოფლიო იცნობს, კუბას, რომელმაც თავის ლოზუნგად აირჩია: „სამშობლო ან სიკვდილი! ჩვენ გავიმარჯვებთ!“

ᲨᲔᲗᲥᲛᲣᲚᲔᲑᲐ ᲛᲖᲐᲓᲓᲔᲑᲐ

ᲕᲘᲜᲔᲪᲘᲔᲕᲘᲓᲔᲝ, 29 სექტემბერი. საკადესის კორესპონდენტი ე. ელშოვი იტყობინება: ურუგვაიში მზადდება სამხედროთა შეთქმულება. მალალი თანამდებობის სამხედრო პირები და პოლიციის ხელისუფალნი უსასრულოდ აწყობენ საიღუმლო თათბირებს. როგორც გაზეთი „ეკოპა“ აღნიშნავს, თათბირებზე განიხილავენ „დიდმნიშვნელოვან პოლიტიკურ პრობლემებს“. თავის მხრივ გაზეთი „პოპულარი“ აღნიშნავს, რომ სამხედროები განიხილავენ საკითხს „კომუნიზმის წინააღმდეგ ბრძოლის“ შესახებ. ამ შეხვედრებში მონაწილეობას იღებენ ურუგვაელი სამხედროები, რომლებიც ამას წინათ ვიზიტად იყვნენ ამერიკის შეერთებულ შტატებში და აღრე მონაწილეობდნენ ურუგვაის დემოკრატიული ძალების წინააღმდეგ რეპრესიებისა და თავდასხმების მოწყობაში.

სამხედრო პირთა ზედაფენის უჩვეულო აქტივობა ურუგვაის საზოგადოებრიობისა და პრესის სერიოზულ შეშფოთებას იწვევს. ურუგვაის პროგრესული წრეები ხალხს მოუწოდებენ გამოიჩინოს სიფხიზლე, რათა თავიდან აიცილონ სამხედროების პუტჩი.

ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘ ᲤᲐᲠᲣᲚᲐᲓ ᲒᲐᲐᲛᲒᲖᲐᲕᲠᲔᲡ

ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ, 29 სექტემბერი. (საკდესი). გუშინ საღამოს დომინგოდან ფრენა გაამგზავრეს დომინგოს რესპუბლიკის პრეზიდენტი ხუან ბოში, რომელიც 25 სექტემბერს ჩამოაგდეს სამხედრო გადატრიალების შედეგად. სახტა-დომინგოდან იტყობინება ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს კორესპონდენტი. დომინგოს ფლოტის ფრეგატი „შელია“, რომელზეც ხუან ბოში იმყოფება, „ხანგრძლივ ხაოსნობას განახორციელებს ოკეანეში“. კორესპონდენტი გამოთქვამს ვარაუდს, რომ გემი ევროპაში მიდის.

დომინგოს რესპუბლიკაში ძალაუფლება ამჟამად რეაქციული მხედრიონის ხელშია.

ᲐᲕᲡᲢᲠᲘᲐ. ვენის ბაზარზე გაიმართა დემონსტრაცია, რაც გამოიწვია კვების პროდუქტების ფასების განუწყვეტელმა ზრდამ. დემონსტრანტებმა მთავრობას მოსთხოვეს განახორციელოს გადამწყვეტი ღონისძიებანი სიძვირის ზრდის შესაწყვეტად. სურათზე: „ყველაფერი გაძვირდა“, „დეპუტატებო, სად არის თქვენი დაპირებანი?“ — მჭეკრმეტყველურად ამბობენ დემონსტრაციის მონაწილეთა პლაკატები.

ფოტო ავსტრიულ გაზეთ „ფოლკსშტიმისი“.

ᲗᲑᲘᲡᲐᲕᲐᲚᲘ

„ლიტვა“, 30 სექტემბერი. (საკდესის კორ.). ორი დღე-ღამეა „ლიტვამ“ დატოვა ლიბიის ნავსადგური ტრაპოლი და დია ზღვაში გავიდა. ხანა თვალს მიეფარა ნაპირები, ირგვლივ მზე და მოლივლივე წყლის სივრცეა, რომელსაც ოდნავ არხევს ნიავი. გემზე გრძელდება გაცხოველებული დისკუსიები, კამათი, საუბრები და შეხვედრები.

საინტერესო საუბარი გაჩაღდა კომისიაში, რომელიც განიხილავს განვითარებადი ქვეყნების პრესის პრობლემებსა და ჟურნალისტიკის და იმპერიალიზმის წინააღმდეგ ხალხთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის საკითხებს. დელეგატების შეკრებილ კონკრეტული კონსტრუქციული წინადადებები.

ალჟირის წარმომადგენელმა წინადადება წამოაყენა, დაწესდეს იმპერიალიზმისა და ხალხთა ჩაგვრის წინააღმდეგ მებრძოლი აფრიკის ქვეყნების ჟურნალისტთა სოლიდარობის საერთაშორისო ცენტრის შექმნის შესახებ. ამ საკითხზე ცოტა ხანში ვრცლად ვისაუბრებთ.

დელეგატებმა ერთსულოვნად დაუჭირეს მხარი მოსკოვის ხელშეკრულებას ატომური იარაღის გამოცდის აკრძალვის შესახებ, როგორც დიდმნიშვნელოვან ნაბიჯს საერთაშორისო დაძაბულობის და საყოველთაო განიარაღების შემდგომი შენელების გზაზე.

ᲮᲣᲗᲘ ᲙᲝᲜᲒᲘᲜᲔᲜᲢᲘᲡ ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡᲢᲗᲐ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲐ

თბილისი, 30 სექტემბერი. (საკდესის კორ.). ორი დღე-ღამეა ხუთი კონტინენტის ჟურნალისტთა წარმომადგენლები ეცნობიან საქართველოს ისტორიულ ძეგლებს, ქალაქებსა და სოფლებს, ხალხის ეროვნულ ტრადიციებს, ხელოვნებას, ლიტერატურას, ეკონომიკის განვითარების თანამედროვე ტენდენციებს. ისინი ეწვივნენ ქუთაისს, ბორჯომს, ახალციხეს, ბათუმს, ფოთს, სოხუმს, ურეკს, ზუგდიდს, გაეცნენ ჩაის, ციტრუსების, ხილის, ვაზის, ტუნგოს, ეთერზეთოვანი კულტურების, ტყის მეურნეობის, ფრინველის, აბრეშუმის, ფუტკრის, ცხოველთა ჯიშების გაუმჯობესების, ბუნების დაცვის საკითხებს.

ჟურნალისტებმა ეწვივნენ ბორჯომის ნაკრძალს, ნოქალაქევის არქეოლოგიურ გათხრებს, ვაზისა და ციტრუსების სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებს, ფოთის ნავსადგურს, ჩაის ფაბრიკებს, ბათუმის ბოტანიკურ ბაღს, ურეკის ნავთობსადენის ტერმინალს, ზუგდიდის ფრინველის ფაბრიკას, ქუთაისის ავტომობილების ქარხანას, ტყიბულის ქვანახშირის მაღაროებს, ახალციხის ხალიჩების ფაბრიკას, ბორჯომის ნავთობსადენის ტერმინალ

ახალი ამბები • ცნობები • ფაქტები • ქრონიკა

ჯანმრთელობის დაცვის სახალხო უნივერსიტეტი

ჩიათურა. (საკ. კორ.). მარგანეცის ქალაქში შეიქმნა ჯანმრთელობის დაცვის სახალხო უნივერსიტეტი, რომელსაც სამოცამდე მსმენელი ჰყავს. პირველ მეცადინეობაზე მსმენელებს უნივერსიტეტის ამოცანებზე ესაუბრა რექტორი — ექიმი ვ. ებანოიძე. მოსმენილ იქნა აგრეთვე ჯანმრთელობის დაცვის საქალაქო განყოფილების გამგის ლ. ენუქიძის ლექცია.

უნივერსიტეტის მსმენელები შეისწავლიან სანიტარული განათლების საფუძვლებს, საბჭოთა სამედიცინო მეცნიერების მიღწევებს, პრაქტიკულად დაეუფლებიან ავადმყოფის მოვლასა და პირველ დახმარებას.

უნივერსიტეტის მსმენელებისათვის ლექციებს კითხულობენ გაძოცდილი ექიმები — მედიცინის მეცნიერების კანდიდატები გ. გაბუნია, თ. ბარათაშვილი, გ. კილაძე, პ. ფხალაძე, ა. ლეჟავა, დ. ქელბაქიანი და სხვები.

სილამაზე, ოსტატობა — არენაზე

არენაზე გამოდიან თეთრკაბიანი ქალიშვილები. ეს არის მოსკოვის ცირკის სახალხო ანსამბლი საერთაშორისო კონკურსის ლაურეატის პ. გოროდნიცკის ხელმძღვანელობით. ანსამბლი სტილიზებულ ციკვას ასრულებს. ასეთი არაჩვეულებრივი ნომრით იწყება პროგრამა თბილისის ცირკში, სადაც ახალი სეზონი გაიხსნა.

პროგრამის წამყვანი ნომერია რსფსრ დამსახურებული არტისტის, ვეფხვების მწვრთნელის ა. ალექსანდროვის გამოსვლა. ეს საბჭოთა ცირკის ერთ-ერთი უძველესი ოსტატია. ცირკის არენაზე იგი გამოდის 1927 წლიდან. წინათ მისი ამპლუა სხვადასხვა იყო, უკანასკნელი ათეული წლის მანძილზე კი მაყურებელი მას ხედავს ვეფხვების ჯგუფით, რომელშიც უსურის და ბენგალიის ვეფხვები არიან. ამჟამად იგი ამზადებს ახალ პროგრამას, რომლითაც საგასტროლოდ გაემგზავრება ბენგალიის ვეფხვების ვამშობლოში — ინდოეთში. მის გამოსვლას რომ უყურებ, გაოცებული რჩები, ამ მტაცებელ ნებისყოფის ადამიანს ალერსითა და ბეჭითი შრომით როგორ მოუთვინიერებია მტაცებლები. ოსტატობა და ოსტატობა — არენაზე

თბილისის სახელმწიფო ცირკში სეზონი გაიხსნა

მოკლედ

ცხაკაიას სახალხო თეატრის კოლექტივმა მაყურებელს მორიგ პრემიერად უჩვენა ს. შანშიაშვილის „ხევისბერი გოჩა". სპექტაკლის დადგმა ეკუთვნის ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს ვ. მურღულიას, მხატვრული გაფორმება — ბ. ბარქაიას, კომპოზიტორია ა. ანდრიაშვილი.

ს. კუჭავა.

მაიაკოვსკის რაიონის სოფლებში ჩქარი ტემპით მიმდინარეობს ელექტროფიკაციის სამუშაოები. მაიაკოვსკის ზონის ყველა სოფელი უკვე ჩართულია „საქსოფლენერგოს" ერთიან სისტემაში. ახლახან კიდევ ხუთი სოფელი — ფერსათი, შუბანი, დიმი, როკითი და რთი გააკაშკაშა ილიჩის ნათურებმა.

ბ. მჟავანაძე.

ზუგდიდის რაიონის სოფელ ოქტომბრის კულტურის სახლთან ჩამოყალიბებულია სავსტრადო ბრიგადა, რომელსაც კ. წიწავა ხელმძღვანელობს. ბრიგადა სისტემატურად მართავს კონცერტებს ზუგდიდის რაიონის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, საველე ბრიგადებსა და საკოლმეურნეო ფერმებში. ამას წინათ მან კონცერტები გამართა დაბა წალენჯიხის, სოფლების ჯგალის, საჩინოს, ნაკიფუს, ჯვარის, ჯვარზენის, დაბა ხობის, სოფლების საჯიჯაოს, პირველი მაისის, ჭკადუაშის, ჩხორის სასოფლო კლუბებში.

ბ. ალშიბაია.

ჩვენი პლანეტის ამინდი

როგორც ხშირად არის ხოლმე სექტემბერში, ზოგჯერ კი ოქტომბერშიც, საბჭოთა კავშირის ევროპული ნაწილის ტერიტორიაზე ფართო ანტიციკლონია. და თუ ღამეებით აქა-იქ ჭირხლია, დღისით ტემპერატურა 22 გრადუსამდე ადის. ივი 4-6 გრადუსით აღემატება მრავალი წლის საშუალო ტემპერატურას.

მაგრამ აი საბჭოთა კავშირის ევროპული ნაწილის ტერიტორიაზე ტენიანი ჰაერი შემოიჭრა. და ამიტომ მას დასავლეთ ნახევარში უახლოეს დღეებში მეტწილად ღრუბლიანი, ქარიანი ამინდი, მოსალოდნელია წვიმა.

ამავე დროს სავსებით ზამთრულად გამოიყურება არქტიკის ნაბირები და ციმბირის ჩრდილოეთი რაიონები: უამინდობა, თოვა, ქარბუქი, ძლიერი შტორმის ქარები. ცივი ცვალებადი ამინდი იყო ამ კვირაში დასავლეთ ციმბირსა და ურალში. ამ რაიონებში ასეთივე ამინდი იქნება უახლოეს დღეებშიც. ხანმოკლე წვიმები გადაუვლის ყამირის მხარეს, მაგრამ ყაზახეთში და შუა აზიის აღმოსავლეთ რაიონებში შეჭრილი ცივი ჰაერი უახლოეს დღეებში თანდათანობით გათბება.

ქოპეტ-დაღის მთისწინეთის მშრალ თბილ ჰაერში მტვრიანი ქარიშხლები გაივლის.

კავკასიაში ხშირად გაისმის ჭუხილი. თბილისა და წყალის ტემპერატურა კავკასიის შავი ზღვის სანაპიროზე თითქმის ერთნაირია — პლუს 28 გრადუსი. გრძელდება „ბავერდოვანი" შემოღგომა.

დიდი ხნის ნანატრმა წვიმებმა გადაუარა, ბოლოს, უკრაინას. ისინი მოიტანა სამხრეთის ციკლონმა, რომელიც აქ უკვე რამდენიმე დღეა ბატონობს. სამხრეთის მეორე ციკლონმა რამდენადმე წაახალისა ამინდი იტალიაში და ადრიატიკის ზღვის სანაპიროზე. იუგოსლავიაში უხვად მოვიდა ნალექი. შტორმებია ატლანტიკაში. ქარის ძალა ადგილ-ადგილ ცხრა ბალს აღწევს. ოკეანის ტალღების სიმაღლე ცალკეულ ადგილებში 9,5 მეტრამდეა. ღრმა ფართო ციკლონებს წვიმა მოაქვთ ატლანტის ოკეანიდან ნორვეგიაში, ინგლისში, საფრანგეთში, გერმანიაში.

შესამჩნევად აცივდა ჩრდილოეთ ამერიკაში. თუმცა მექსიკაში, კალიფორნიაში და ფლორიდაზე ჯერ კიდევ შედარებით თბილა, მაგრამ კანადის ჩრდილოეთ რაიონებში ყინვა 10-14 გრადუსს აღწევს, თოვს. სამაგიეროდ ბრაზილიისა და ავსტრალიის ცენტრალურ რაიონებში თერმომეტრი 34 გრადუს სითბოს უჩვენებს.

საagენტო „ახალი ამბები".

ლ. ს. ჭანგურიშვილი — ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი

სახელმწიფო სპეციალური კომიტეტის „სოიუზფოსფორპროექტის" თბილისის ფილიალის მთავარმა სპეციალისტმა ელექტროძე ბ. შ. ი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გეოფიზიკის ინსტიტუტის უფროსმა მეცნიერმა თანამშრომელმა, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატმა ლევან სოს-ძე ჭანტურიშვილმა მოსკოვში სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის დედამიწის ფიზიკის, ატმოსფეროსა და გამოყენებითი გეოფიზიკის ინსტიტუტების გაერთიანებულ სამეცნიერო საბჭოს ღია სხდომაზე ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად დაიცვა დისერტაცია თემაზე: „ელექტროძეები გზების დაპროექტების დროს რთულ ტოპოგრაფიულ პირობებში".

სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროსთან არსებულმა უმაღლესმა სატესტაციო კომისიამ დაამტკიცა ლ. ს. ჭანტურიშვილისათვის ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მიკუთვნება.

ჩვენი კალენდარი

15 ოქტომბერს ჭ. ამბროლაურში შედგება საქართველოს სსრ 1963 წლის ფულისა და ნივთების ლატარიის (მეშვიდე გამოშვება) მოგებათა ტირაჟი.

ტირაჟში გათამაშდება **225.000** მანეთის **120.000** ფულისა და ნივთის მოგება. ნივთმოგებათა რიცხვშია ავტომანქანები „ვოლგა", „მოსკვიჩი" და „ზაპოროჟეცი", საწოლი ოთახის გარნიტურები, პიანინოები, მაცივრები, ტელევიზორები და ბევრი სხვა ფასიანი ნივთი და ფულადი მოგება.

იჩქარეთ შეიძინოთ ლატარიის ბილეთები ტირაჟში მონაწილეობის მისაღებად.

საქართველოს სსრ სახელმწიფო შრომის შემნახველი სალაროებისა და სახკრედიტის სამმართველო.

ინსტიტუტ „ტრანსგრომპროექტის" თბილისის ფილიალს

სჭირდება როგორც ინსტიტუტის ახლადგურსდამთავრებული ინჟინერები, ისე ინჟინერები, რომლებსაც მიღწეული აქვთ საწარმოო მუშაობის ორ წელზე მეტი ხანგრძლივობა.

ინსტიტუტი უზრუნველყოფს ახალგაზრდა სპეციალისტებს საცხოვრებელი ფართით.

მიმართეთ: თბილისი, ი. ჭავჭავაძის პროსპექტი № 50, ტელ. № 2-30-65.

მოკალაქენო!

15 ოქტომბერს ქ. ამბროლაურში შედგება საქართველოს სსრ 1963 წლის ფულისა და ნივთების ლატარიის (მეშვიდე გამოშვება) მოგებათა ტირაჟი.

ტირაჟში გათამაშდება **225.000** მანეთის **120.000** ფულისა და ნივთის მოგება. ნივთმოგებათა რიცხვშია ავტომანქანები „ვოლგა", „მოსკვიჩი" და „ზაპოროჟეცი", საწოლი ოთახის გარნიტურები, პიანინოები, მაცივრები, ტელევიზორები და ბევრი სხვა ფასიანი ნივთი და ფულადი მოგება.

იჩქარეთ შეიძინოთ ლატარიის ბილეთები ტირაჟში მონაწილეობის მისაღებად.

საქართველოს სსრ სახელმწიფო შრომის შემნახველი სალაროებისა და სახკრედიტის სამმართველო.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს რესპუბლიკური გაერთიანება „სოფლტექნიკის" მარაგნაწილებით ვაჭრობის

აცხადებს საქართველოს სსრ **ყველა** დაწესებულების და საქსოფლტექნიკის **ყველა გაერთიანებას** საყურადღებოდ, რომ მიმდინარე წლის 1 ოქტომბრიდან **მოეწყობა მატერიალურ-სახაჭონლო ფასეულობათა წლიური ინვენტარიზაცია,** რას გამო ავტომანქანების, ტრაქტორების, სასოფლო-სამეურნეო მანქანების მარაგნაწილების ბაზის საწყობებიდან მარაგნაწილების აღწერასთან დაკავშირებით **შეწყდება ყოველგვარი ოპერაციები** დაწესებულებების და სარაიონო გაერთიანებების შეუფერხებელი მუშაობის უზრუნველსაყოფად.

დირექცია.

ქუთაისის ალ. წულუკიძის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის დაუსწრებელი განყოფილება

სტუდენტთა საყურადღებოდ აცხადებს, რომ 6-20 ოქტომბერს, 3-17 ნოემბერს და 1-15 დეკემბერს ზესტაფონისა და ცხაკაიას სარაიონთაშორისო საკონსულტაციო პუნქტებში, ხოლო 13, 27 ოქტომბერს, 10 ნოემბერსა და 8 დეკემბერს ქუთაისის საკონსულტაციო პუნქტში **დანიშნულია საკვირაო კონსულტაციები.**

კონსულტაციები მოეწყობა **ქუთაისში** პედინსტიტუტის, ხოლო **ზესტაფონსა და ცხაკაიაში** მეორე საშუალო სკოლების შენობებში.

კონსულტაციები ჩატარდება სტუდენტთათვის დაგზავნილი ცხრილების მიხედვით. **ცხრილის გაცნობა შეიძლება საკონსულტაციო პუნქტების გამგეებთანაც.**

კონსულტაციები დაიწყება **ქუთაისში** დილის 10, ხოლო სარაიონთაშორისო **საკონსულტაციო პუნქტებში** — 11 საათიდან.

კონსულტაციების დღეებში სტუდენტებს საკონსულტაციო პუნქტებში **შეეძლებათ საკონტროლო თემების, ჩათვლებისა და გამოცდების ჩაბარებაც.**

აკადემიური დავალიანების ლიკვიდაციისათვის **გამოცდები ჩატარდება** ქუთაისში, პედინსტიტუტის შენობაში 30 სექტემბერს, 12, 26 ოქტომბერს და 9, 23 ნოემბერს.

რექტორატი.

სიცოცხლის გუშაგი

ნარკვევი

ქარგ ექიმს ქვეყნად მაქებარი და მეგობარი არ დაელევა.

როზა პაკელიანის ქების ამბავი გზაშივე გავიგონე, ვიდრე ზუგდიდიდან ხაიშის ხეობაში შევდიოდი. ხაიშში ხომ უცხო თვალიც შენიშნავს საერთო სიყვარულს, ნდობასა და პატივისცემას, რითაც გარემოსილია ეს ადამიანი.

— ექიმი ქალები ადრეც გვყოლია, — იგონებს დარბაისელი ბერიკაცი, — მაგრამ ასეთი არავინ მოსულა.

მილიმიან ნაცნობები, მოდიან, მესალმებიან, მომითხრობენ პაკელიანის ნიჭისა და გულმოდგინების ამბავს. სიამაყით მევსება გული, რომ ჩემს მხარეშიც ჰყავთ ასეთი ადამიანები.

სამაგალითოა როზა შინ თუ გარეთ, სამსახურსა თუ საზოგადოებრივ საქმიანობაში. მისთვის მთავარია ადამიანის სიცოცხლე.

იგივე შეიძლება ითქვას ნინა პაკელიანზე. იგი ექიმის მარჯვენა ხელია და შემცვლელი. ნინა ხაიშის აფთიაქს განაგებს, ექიმზე ხშირად მას მიმართავენ ხოლმე და უებარ წამალთან ერთად თან მიაქვთ ფარმაცევტის თავაზიანი რჩევა-დარიგება.

ვუსმენ მაღლიერ თანასოფლელთა ლაპარაკს პაკელიანთა უანგარობაზე და ვფიქრობ: რამდენად უკეთ წავიდოდა ჩვენი საერთო საქმე, რომ ყველა ასე ეთილსინდისიერად აკეთებდეს იმას, რაც შეუძლიათ..

პატარა გოგონა დედას ელოდა.

ერთი სახლის კარი წყნარად გაიღო და ოთახში დედის სახემ შემოანათა. პირველი მზერა შვილს მიაპყრო. ახლა იგი იყო მხოლოდ დედა, ქმარ-შვილის ნაბჯას მონატრებული, დაღლილი, გამარჯვებული, კეთილი დედა...

პატარა მარიკამ დედოფალა მიატოვა, ზოგჯერ ხაიშიც კი საჭიროა ორი ექიმი!".

ისევ სტუმარს მიმართეს. დაშავებულთ დაუყოვნებლივ მიეშველა დემეტის მეუღლე თამარ პაკელიანი, რომელიც აგრეთვე ექიმია. სასწრაფოდ ჩამოვიდა ჭუბერიდან უველასათვის საყვარელი ახალგაზრდა ექიმი ავთანდილ სუბელიანიც. ფეხზე დადგნენ ექთანები დუღა გაბლიანი, ცარუ ზურებიანი, ვენერა ფალიანი, ნინო ჭყადუა, ნორა დადვანი...

ვნახე მათი გულმოდგინება და სამწუხარო ფაქტიც: ხაიშის საავადმყოფოს არა ჰყავს აუცილებელი სამედიცინო პერსონალი, არა ჰყავს რენტგენოლოგი, ბილის ექიმი, არა აქვს ანალიზების გაკეთების მინიმალური საშუალება.

ერთ-ერთ დაშავებულს ნეკნები ჰქონდა ჩამტვრეული, ნახველში სისხლი ერია, ექიმს კი გაშუქების საშუალება არ ჰქონდა, რადგან არ არის რენტგენის კაბინეტი, ხოლო მესტიამდე თითქმის ასი კილომეტრია. ასეთივე მანძილია ზუგდიდამდე. ითობით მეზობელი სოფელი ხაიშის საავადმყოფოს მოიმედებს, ხაიშში კი არსებითად არც არის საავადმყოფო, და ეს მაშინ, როცა იგი რაიონის მეორე ადმინისტრაციული ცენტრია.

აბა ეს რა საავადმყოფოა? ათასწოლიანი საცოდავი შენობა ბროკოკ ფერდობს ისე ებღაუჭება, თითქოს ეშინია, ენგურში არ გადავარდეო.

ამაში დავგარწმუნა ერთმა დღემ ხაიშის საავადმყოფოში. აქ მოეყვანათ ახალბიტისაგან დაგესლილი სიცოცხლით სავსე ჭაბუკი რუბენ ჭკადუა. პირველმა დახმარებამ სასურველი შედეგი გამოიღო. სიცოცხლემ გაიმარჯვა. ცოტა ადრე აქ დაავწვინეს სასიკვდილოდ დაჭრილი კარპატელი მუშა ივანე ანდროსი. დღეს იგი ღიმილით გვესმენს. ოთხი მძიმედ დაშავებული ჭაბუკი მადლიერების გრძნობით შესცქერის იმ ადამიანებს, რომლებმაც ისინი დაღუპვას გადაარჩინეს.

დაჭრილებს ზრუნვით დასტრიალებს თავს ექთანი მშვენიერი ქალიშვილი ვენერა ფალიანი.

— სიკვდილს შემთხვევა თუ ყოფილა? ვეკითხები პაკელატიდან გამოსვლის შემდეგ.

— არა, აქ ადამიანები არ კვდებიან.

ყოველ შეკითხვაზე სხარტი და საქმიანი პასუხი მესმის.

ჯატყოს, დროს უფრთხილდება, ავადმყოფებს უნდა მიხედოს.

ხაიშს ესაჭიროება რიგიანი საავადმყოფო, ესაჭიროება კაბინეტი და მოწყობილობა, მეტი ექიმი —ისეთი ექიმები, როგორიც არიან როზა პაკელიანი და მისი კოლეგები.

დასრულდა სტუმრობა! მარადიული ენგურის —სვანეთის მთავარი ქუჩის— დაუოლებით მიმაჭრელებს ისევ თავაზიანი ვლადიმერ ჭაჭველიანი, მღერიან ჭაბმაგარი სვანები, შფოთავს ხეობა, შენდება „ენგურჰესი" და ვფიქრობ ჩემთვის: „არის რაღაც დიადი, ამაღლებული, დაუცხრომელი, და არიან უპრეტენზიო უბრალო, უანგარო ადამიანები, რომლებიც ამ დიადს, ამაღლებულს ემსახურებიან მარად და უველგან — ჭალაჭად, სოფლად, დღითა და ღამით. ■

აკაკი გელოვანი.

სპორტული ქრონიკა

□ სიმფეროპოლში სსრ კავშირის თასის გათამაშებაში ველორბოლაში წარმატებას მიაღწია ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენელმა ო. ფხაკაძემ. სპრინტერული რბოლის ფინალში მან დაამარცხა ი. ბოდნარენკო და სსრ კავშირის თასი მოიპოვა.

□ მორიგი გამარჯვება მოიპოვა „ბ" კლასის მოკვიდრე რესპუბლიკათა მეორე ზონის ერთიერთობრივულმა ლიდერმა — თბილისის „ლოკომოტივის" ფეხბურთელთა კოლექტივმა. კვირას ქართველმა ფეხბურთელებმა ანგარიშით 4:0 დაამარცხეს სუმგაითის „ხიმიკი".

□ დაიწყო მეორე წრის მატჩები ევროპის თასზე ფეხბურთში ეროვნულ ნაკრებ გუნდებს შორის. სოფიაში ერთმანეთს შეხვდნენ ბულგარეთისა და საფრანგეთის ფეხბურთელები. შეხვედრა მასპინძლებმა მოიგეს — 1:0.

ჩემპიონატი მოიგოს მღვდელმა ლომმა

ბრძოლებს დიდი მომზადება სჭირდება, ეს ფიშერმა კარგად შეითვისა ბობტენისგან, რომელსაც თავისათვის სამაგალითო მოჰქონდა. ამიტომ განაცხადა მსოფლიოს ჩემპიონმა ყარი ფიშერმა, დასხვა საერთაშორისო შეჯიბრებაში თამაშზე. დღესათვის ფიშერი საბჭოთა მოჭადრაკეების ერთადერთი, მაგრამ მეტად სახიფათო მეტოქეა.

ვინ შეიძლება ვიხილოთ პრეტენდენტთა მომავალ ასპარეზობაში?! რა თქმა უნდა, დღეს ეს „შორეული მისადგომებიდან" ნათლად როდი მოჩანს, მაგრამ გროსმაისტერთა ახლანდელ ფორმას თუ გავითვალისწინებთ, მაშინ უძლიერესთა შორის უკვე მეექვსეთ ეყოფა ადგილი. ითობით მეზობელი სოფელი ხაიშის საავადმყოფოს მოიმედებს, ხაიშში კი არსებითად არც არის საავადმყოფო, და ეს მაშინ, როცა იგი რაიონის მეორე ადმინისტრაციული ცენტრია.

აბა ეს რა საავადმყოფოა? ათასწოლიანი საცოდავი შენობა ბროკოკ ფერდობს ისე ებღაუჭება, თითქოს ეშინია, ენგურში არ გადავარდეო.

ამაში დავგარწმუნა ერთმა დღემ ხაიშის საავადმყოფოში. აქ მოეყვანათ ახალბიტისაგან დაგესლილი სიცოცხლით სავსე ჭაბუკი რუბენ ჭკადუა. პირველმა დახმარებამ სასურველი შედეგი გამოიღო. სიცოცხლემ გაიმარჯვა. ცოტა ადრე აქ დაავწვინეს სასიკვდილოდ დაჭრილი კარპატელი მუშა ივანე ანდროსი. დღეს იგი ღიმილით გვესმენს. ოთხი მძიმედ დაშავებული ჭაბუკი მადლიერების გრძნობით შესცქერის იმ ადამიანებს, რომლებმაც ისინი დაღუპვას გადაარჩინეს.

დაჭრილებს ზრუნვით დასტრიალებს თავს ექთანი მშვენიერი ქალიშვილი ვენერა ფალიანი.

— სიკვდილს შემთხვევა თუ ყოფილა? ვეკითხები პაკელატიდან გამოსვლის შემდეგ.

— არა, აქ ადამიანები არ კვდებიან.

ყოველ შეკითხვაზე სხარტი და საქმიანი პასუხი მესმის.

ჯატყოს, დროს უფრთხილდება, ავადმყოფებს უნდა მიხედოს.

ხაიშს ესაჭიროება რიგიანი საავადმყოფო, ესაჭიროება კაბინეტი და მოწყობილობა, მეტი ექიმი —ისეთი ექიმები, როგორიც არიან როზა პაკელიანი და მისი კოლეგები.

დასრულდა სტუმრობა! მარადიული ენგურის —სვანეთის მთავარი ქუჩის— დაუოლებით მიმაჭრელებს ისევ თავაზიანი ვლადიმერ ჭაჭველიანი, მღერიან ჭაბმაგარი სვანები, შფოთავს ხეობა, შენდება „ენგურჰესი" და ვფიქრობ ჩემთვის: „არის რაღაც დიადი, ამაღლებული, დაუცხრომელი, და არიან უპრეტენზიო უბრალო, უანგარო ადამიანები, რომლებიც ამ დიადს, ამაღლებულს ემსახურებიან მარად და უველგან — ჭალაჭად, სოფლად, დღითა და ღამით. ■

აკაკი გელოვანი.

სურათებზე: (ზემოთ) — მოჭირითეთა გამოსვლა ა. კანტემიროვის ხელმძღვანელობით; (ქვემოთ) — მწვრთნელი ა. ალექსანდროვი თავისი ვეფხვებით.

ფოტო ავტორისა.

რა ვნახოთ, რა მოვისმინოთ

თეატრები

1 ოქტომბერი

ჭ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრი — ტრუბადური, **რუსთაველის სახელობის** — ფიროსმანი (მე-9 აბონ. მე-9 წარმოდგენა), **გრიბოედოვის სახელობის** — ჩვეულებრივი სასწაული (1-ლი აბონ. 1-ლი წარმოდგენა), **მოზარდ მაყურებელთა ქართული** (კომუნალური მეურნეობის მუშაკთა კულტურის სახლში) — ალვები (მე-5 აბონ. 4ს.).

ტელევიზია

1 ოქტომბერი

12.00 — მხატვრულ-დოკუმენტური ფილმი „რუსული სასწაული" (პირველი სერია), 18.00 — „დღეს ჩვენს პროგრამაშია", 18.05 — მოსწავლეთათვის — მოკლემეტრაჟიანი სასწავლო ფილმი „თეჯი და ფოლადი", 18.45 — განცხადებები, 18.50 — გადაცემა ახალგაზრდობისათვის — „გამოვიყენოთ სპორტული ბაზები", 19.05 — მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ხიდი", 19.25 — გადაცემა — „ერთი სოფლის კომუნისტები", 19.40 — კინოქურნალი, 19.50 საფორტეპიანო მუსიკის კონცერტი, 20.10 — მხატვრულ-დოკუმენტური ფილმი „რუსული სასწაული" (პირველი სერია), 22.20 — ახალი ამბები.

1 ოქტომბერი

კინო

რუსთაველის სახელობის, ამირანი (საბავშვო და საბავშვო ფხუნელ), **ისანი** (საბავშვო), **სახკრთველო** (მწვანე დარბაზი), **კოლხიდა** (საბავშვო) — ოპტიმისტური ტრაგედია, **ოქტომბერი, სპარტაკი, კომკავშირელი, პლეხანოვის სახელობის კულტურის სახლი, ჭავჭავაძის სახელობის კულტურის სახლი, ყაზბეგი** (მეორე დარბაზი) — სანტიმენტალური მოთხრობა, **ფილარმონიის ბაღი** — მზიური ველის სერენადა, **ისანი** (საზაფხულო) — ოკლაჰომა, **თბილისი** — საბედისწერო მეჩეჩი, **26 კომისრის სახელობის** (პირველი დარბაზი), **ოფიცერთა სახლი, კოლმეურნე, ვაკის პარკი** — რამდენი სიტყვა სჭირდება სიყვარულს, **26 კომისრის სახელობის** (მეორე დარბაზი), **გაზაფხული, დიდუბე** (საზამთრო), **გორკის სახელობის კულტურის სახლი** (საზამთრო), **ნაკადული** — შავი ნიღაბი, **26 კომისრის** სახელობის (საზაფხულო)—სოფრა, საქართველო (წითელი დარბაზი) — ნიკოლას ნიკლბის ცხოვრება და თავგადასავალი, საქართველო (საზაფხულო) — მოჩვენებები შეესარტას კოშკში, თანამგზავრი — ჩრდილო პოლუსთან, ყაზბეგი (პირველი დარბაზი), სპორტის სასახლე — შესანიშნავი შვიდეული, კოსმოსი — შვიდი ძმის შვიდი საცოლე, გორკის **სახელობის** კულტურის სახლი (საზაფხულო) — მოჭალე ბრინი, დიდუბე (საზაფხულო) — მე ვიცეკვებ, კიროვის **სახელობის** პარკი — ლამაზი მეგობარი, კომუნარების ბაღი — ლევენდა მატარებელში, ორჯონიკიძის **სახელობის** კულტურისა და დასვენების ცენტრალური პარკი — ბატონი მასწავლებელი ჰანიბალი, მილიციის **კლუბი** — მამაკაცი ჩვენს სახლში, **კომუნალური** მეურნეობის მუშაკთა კულტურის სახლი — ბავშვი სახლში.

2 ოქტომბერი

პირველი პროგრამით

06.40 — დ. არაყიშვილი. სიმფონიური სურათი „ჰამლი ორმუზდს", 08.30 — თვითმფრინავი ასსამბლებისა და ინდივიდუალური შემსრულებლების კონცერტი, 10.15—რადიოგაზეთი „საქართველოს პიონერი", 12.10 — გადაცემა ახალგაზრდობისათვის ციკლიდან — „მოგითხრობთ თქვენს თანატოლებზე", 12.25 — კონცერტი ზ. კოდაის ნაწარმოებებიდან, 13.40 — რ. მელიქიანის რომანსები და სიმღერები, 17.15 — ფრაგმენტები შ. თაქთაქიშვილის ბალეტ „მალთაყვადან", 17.35 — კონცერტი მოსწავლეთათვის — „პიონერული", 18.10 — „მუსიკალური ლექსიკონი", 18.45 — „მღერის იმა სუმაკი", 19.30 — გადაცემა — „გამოყენებითი ხელოვნება და ელექტროენერგია", 20.15 — ლირიკული დუეტები ე. გვაზავას და ც. ციცქიშვილის შესრულებით, 20.30 — „თბილისი, ბაქო, ერევანი", 21.00 — „ძილისპირული", 21.15 — პოპულარული არიები და დუეტები რუსული ოპერებიდან, 21.45 — ლიტერატურული გადაცემა — „პოსპერ მერიმე", 23.30 — ღისტი. მეორე კონცერტი ფორტეპიანოსა და ორკესტრისათვის.

მეორე პროგრამით

20.00 — ქართული ხალხური სიმღერები, 20.30 — საუბარი რუსულ ენაზე, 20.45 — მუსიკალურ-ლიტერატურული კომპოზიცია — „ჩაიკოვსკის პირველი სიმფონია", 21.55 — შუბერტის საფორტეპიანო კვინტეტი „კლმახი".

რედაქტორის მოადგილე
გ. ვარდოსანიძე.

„საქსოფლტექნიკის" თბილისის საბაზრო შემომზიდავი ბაზა აცხადებს ფოლდების მფლობელთა საყურადღებოდ, რომ ინვენტარიზაციასთან დაკავშირებით ა. წ. 1 ოქტომბრიდან 10 ოქტომბრამდე ბაზიდან საქონლის გაცემა შეჩერებულია.

დირექცია.

კომუნისტი
Комунисти
ИНДЕКС 66443

თბილისი, ლენინის 14. ტელეფონები: რედაქტორის მოადგილეების — 9-98-03 3-08-67, პ/მგ მდივნის — 9-72-80, სამდივნოსი — 3-46-10, განყოფილებებისა: პარტიული — 9-87-61, მარქსისტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდის, უცხოეთის — 3-22-89, მრეწველობის — 3-20-43, სოფლის მეურნეობის — 3-32-46, საბჭოთა მშენებლობის, მეცნიერების, უმაღლესი სასწ. და სკოლების — 3-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 3-35-01, ინფორმაციის — 3-16-90, წერილების — 9-73-24, განცხადებების — 9-94-42.

ჩვენი ვისაჭართი და ტელეფონები

ᲔᲔ 00772

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", ლენინის ქ. № 14.